საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასება გიორგი გახარიას მიმართ წარდგენილ ბრალთან დაკავშირებით

## (სოფელ ჩორჩანაში საგუშაგოს აღმართვის ეპიზოდი)

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასება გიორგი გახარიას მიმართ წარდგენილ ბრალთან დაკავშირებით

**(სოფელ ჩორჩანაში საგუშაგოს აღმართვის ეპიზოდი)**

**თბილისი**
**2026**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ ონიანი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

www.gyla.ge

---

*© 2026, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*

# სარჩევი


შემოკლებები ..... 4
1. შესავალი ..... 5
2. საქმის წარმოების პრეისტორია და კონტექსტი ..... 7
2.1. 2024 წლის 28 ნოემბრიდან დღემდე შექმნილი ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში ..... 7
2.2. საქართველოს პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა ..... 10
ა. დასაბუთების ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება ..... 10
ბ. კომისიის შემადგენლობის პრობლემურობა ..... 11
გ. კომისიაზე გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები ..... 12
დ. კომისიის საქმიანობის შედეგები გ. გახარიას წინააღმდეგ მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით ..... 12
3. წარდგენილი ბრალდების შინაარსი ..... 14
3.1. გიორგი გახარიასთვის წარდგენილი ბრალდების აღწერა ..... 14
3.2. დაცვის მხარის პოზიცია ..... 16
3.2.1. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსის (2019-2021), კახაბერ ქემოკლიძის ჩვენება ..... 17
3.2.2. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2019, 2021 და 2024 წლების ანგარიშები ..... 20
3.2.3. EUMM - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისგან დაცვის მხარის მიერ მოპოვებული ინფორმაციები 2019 წელს ჩორჩანას ტერიტორიაზე საგუშაგოს აღმართვასთან დაკავშირებით ..... 24
3.2.4. ადგილობრივების შეფასებები და ადგილზე არსებულ მონიშვნებთან დაკავშირებული საჯარო წყაროები ..... 26
3.2.5. გ. გახარიას მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენება ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან და მათი სხვა განცხადებები ..... 28
4. საქმისთვის რელევანტური სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვა ..... 30
4.1. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შექმნა და გაუქმება ..... 30
4.2. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სტატუსი და უფლებამოსილება ..... 31
4.3. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია მოქმედი რედაქციით ..... 31
4.4. შინაგან საქმეთა მინისტრის მხრიდან ერთპიროვნულად მოქმედების შესაძლებლობა ..... 32
4.5. საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები ..... 32
4.6. შეჯამება ..... 33
5. საქმეში სამართლიანი სასამართლოს პროცედურული გარანტიების შეფასება ..... 35
5.1. დაცვის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა ..... 35
5.2. ბრალდების მხარის მიერ მნიშვნელოვანი მოწმეების უგულებელყოფა ..... 37
5.3. წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელება ..... 38
6. პოლიტიკურად მოტივირებული სამართალწარმოება ..... 39
6.1. პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულების ზოგადი განმარტება ..... 39
6.2. პოლიტიკური მართლმსაჯულების აქტუალურობა ადამიანის უფლებათა კრიზისში ..... 42
6.3. საქართველოში პოლიტიკური პლურალიზმის შეზღუდვის ზოგადი კონტექსტი ..... 44
6.4. პოლიტიკური დევნის ნიშნები გიორგი გახარიასთან მიმართებით ..... 48
7. შეჯამება ..... 51

## შემოკლებები

**საია** - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

**სზაკ** - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

**სუს** - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

**შსს** - შინაგან საქმეთა სამინისტრო

**EEAS** - ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახური

**EUMM** - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია

**ე.წ. FARA** - საქართველოს კანონი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“

**GID** - ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები

**IPRM** - ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი

## 1. შესავალი

2025 წლის 8 თებერვალს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში ე.წ. საზოგადოებრივი მოძრაობის *[საქმიანობის გათვალისწინებით, ეს არის მარიონეტული GONGO[1] ორგანიზაცია[2]],* „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წარმომადგენლების, ნანა კაკაბაძის, ბიძინა გიორგობიანის, ვატო შაქარაშვილის, ლევან ნიკოლეიშვილისა და გელა ნიკოლაიშვილის საჩივრის საფუძველზე, დაიწყო გამოძიება საბოტაჟის, დამამძიმებელ გარემოებებში საბოტაჟის მცდელობის, საქართველოს სახელმწიფო ინტერესების ხელყოფის მიზნით უცხოეთის ორგანიზაციისა და უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციებისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარების კვალიფიკაციით.[3]

2025 წლის 11 ნოემბერს ზემოხსენებული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების კვალიფიკაციით.[4]

2025 წლის 12 ნოემბერს პოლიტიკური პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გიორგი გახარიას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მეორე ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ) ბრალი წარედგინა.

საქართველოს პროკურატურის განმარტებით: *„[...] 2019 წლის 24 აგვისტოს იმჟამინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ, რომელიც ამავდროულად ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანი და მუდმივი წევრი იყო, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს უფლებამოსილების იგნორირებით და მთავრობის მეთაურთან შეუთანხმებლად, ასევე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სამსახურებრივი კოორდინაციის და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ინფორმირების გარეშე, ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება საოკუპაციო ხაზის გასწვრივ სოფელ ჩორჩანასთან დამატებითი საპოლიციო საგუშაგოს აღმართვის შესახებ, სადაც მორიგეობისთვის გაანაწილა შეიარაღებული საპოლიციო ძალები, რითაც გადაამეტა შინაგან საქმეთა მინისტრის უფლებამოსილებას. საგუშაგოს აღმართვის ფაქტი გიორგი გახა-*

---

[1] ამ ტიპის ორგანიზაციების კლასიფიკაციისა და როლის შესახებ იხ. აბულაძე გ., „გონგო“ ორგანიზაციები - „ტრანსმისიის სარტყელი“ სახელმწიფოს, პარტიასა და მოქალაქეებს შორის, საია, 27.05.2025, https://gyla.ge/media/blogs/199?fbclid=IwY2xjawSKqCxleHRuA2FlbQIxMABicmlkETFTaURhcThnRUpPNE1qODBsc3J0YwZhcHBfaWQQMjIyMDM5MTc4ODIwMDg5MgABHj9MFQe_pkBOyvuG3LzOmDefZyYfQPg8m4grToDeiV42UjsgxlS3z7XTrzd1_aem_MdVNszv-Xhli5qkab3YQ3Q, [განახლებულია: 05.06.2026].

[2] **2026 წლის 2 ივნისს „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ მიერ გავრცელებული განცხადება კიდევ ერთი ილუსტრაციაა იმის, რომ აღნიშნული ჯგუფი დაკავებულია საზოგადოებაში ევროკავშირის შესახებ ლოგიკურ და ფაქტობრივ საფუძველს მოკლებული, ფანტაზიურ ვარაუდებზე დაფუძნებული პროპაგანდისტული ნარატივების გავრცელებით. იმის, გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, გაუგებარია, რატომ არ ინტერესდება საქართველოს პროკურატურა აღნიშნული კურსის საბოტაჟირების შესახებ გაკეთებული განცხადებებით, რა მიზანს ემსახურება და ვის მიერ არის მართული.** იხ. განცხადება, „ერთიანი ნეიტრალური საქართველო“ - „ქართული ოცნება“ ქვეყანას ილუზიაში აცხოვრებს, საზოგადოებას ჯიუტად უმტკიცებს, რომ ევროკავშირი ჩვენი „აღთქმული მიწაა“, 02.06.2026, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/ertiani-neitraluri-saqartvelo-qartuli-ocneba-qveyanas-iluziashi-ackhovrebs-miukhedavad-imisa-rom-natelia-evropashi-mdzime-mdgomareoba-sazogadoebas-jiutad-umtki/ [განახლებულია: 05.06.2026].

[3] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 318-1;19-18-1;319.

[4] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. მუხლი 333.2. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

*რიას მონაწილეობით ფართოდ გაშუქდა ტელევიზიების მიერ, რამაც „საოკუპაციო რეჟიმის“ პროვოცირება გამოიწვია [...].“*

ბრალის წარდგენის დღესვე, 2025 წლის 12 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს **მოსამართლე დავით კურტანიძემ** გიორგი გახარიას დაუსწრებლად შეუფარდა პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით.

2025 წლის 17 ნოემბერს გიორგი გახარიას ადგილსამყოფლის დადგენის, მისი დაკავების და პატიმრობის აღსრულების მიზნით, ძებნა გამოცხადდა.

**წინამდებარე დოკუმენტში საიამ შეისწავლა გიორგი გახარიას წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე. შეფასების მეთოდოლოგია მოიცავს სისხლის სამართლის საქმის მასალების დეტალურ ანალიზს,[5] ასევე სასამართლო სხდომებზე დაკვირვების შედეგებს, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების დამუშავებას, ქვეყანაში არსებული ადამიანის უფლებათა კრიზისული კონტექსტის გათვალისწინებასა და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვას.**

[5] საქმის მასალები ორგანიზაციამ მიიღო დაცვის მხარისგან შესაბამისი წესების დაცვით და იმ დათქმით, რომ არ მიეწოდა რაიმე საფუძვლით არსებული საიდუმლო მასალა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

## 2. საქმის წარმოების პრეისტორია და კონტექსტი

### 2.1. 2024 წლის 28 ნოემბრიდან დღემდე შექმნილი ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში

**2024 წლის 28 ნოემბერს ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების საკითხს „ქართული ოცნება“ დღის წესრიგში 2028 წლამდე არ დააყენებდა.[6] განცხადება იქცა მასშტაბური დემონსტრაციების მიზეზად, 2024 წლის 28 ნოემბერი კი, თავის მხრივ – თარიღად, საიდანაც დღემდე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ადამიანის უფლებების მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც ადამიანის უფლებების კრიზისი, სადაც სისტემურად და ყოველდღიურად იზღუდება ფუნდამენტური უფლებები.** საქართველოში დემოკრატიული სტანდარტების უკუსვლას და ადამიანის უფლებათა დარღვევებს მწვავე საერთაშორისო რეაგირება მოჰყვა.[7] 2019-2024 წლების პერიოდის მაჩვენებლებზე დაყრდნობით, საქართველო კლასიფიცირდება, როგორც ჰიბრიდული პოლიტიკური სისტემა, რომელიც ავტორიტარული მმართველობის მიმართულებით ვითარდება.[8]

---

[6] „ქართულ ოცნებას“ 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნა არ სურს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 28 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33219304.html, [განახლებულია: 05.06.2026].

[7] **ევროპარლამენტმა** მიიღო რეზოლუცია, რომელშიც საუბარია მიზნობრივი სანქციების დაწესებაზე იმ პირების მიმართ, რომლებიც დემოკრატიული ინსტიტუტების შერყევაზე არიან პასუხისმგებელნი. იხილეთ - European Parliament resolution of 28 November 2024, პარ. 11; ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-10-2024-0054_EN.html, [განახლებულია: 05.06.2026].; ხოლო **აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა** დააწესა სანქციები მაღალი თანამდებობის პირებზე დემოკრატიული პროცესებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის გამო. იხ. „აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტმა ბიძინა ივანიშვილს სანქციები დაუწესა | ყველა დეტალი ერთად“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 27 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%98%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%90/33254863.html. [განახლებულია: 05.06.2026]. რამდენიმე სხვა დასავლურმა ქვეყანამაც მიიღო მსგავსი შეზღუდვები საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მათთან დაკავშირებულ პირებზე. Transparency International Georgia: 9 Western countries have already sanctioned more than 230 representatives of the Georgian Dream, 138 of whom have been made public, while the rest have been subject to anonymous travel or visa restrictions“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2025 წლის 30 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/en/article/141473-transparency-international-georgia-9-western-countries-have-already-sanctioned-more-than-230-representatives-of-the-georgian-dream-138-of-whom-have-been-made-public-while-the-rest-have-been-subject-to-anonymous-travel-or-visa-restrictions, [განახლებულია: 05.06.2026]. Porto Declaration and Resolutions Adopted by the OSCE Parliamentary Assembly at the Thirty-second Annual Session, ხელმისაწვდომია: https://www.oscepa.org/en/documents/annual-sessions/2025-porto/declaration-31/5313-porto-declaration-eng/file, [განახლებულია: 05.06.2026]. ევროკავშირი საქართველოს უვიზო მიმოსვლის შესახებ წერილს გაუგზავნის - კალასი შესაძლო შეჩერების შესახებ აფრთხილებს, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2025 წლის 15 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33474647.html, [განახლებულია: 05.06.2026].

[8] A Region Reordered by Autocracy and Democracy, ხელმისაწვდომია: https://freedomhouse.org/report/nations-transit/2024/region-reordered-autocracy-and-democracy [განახლებულია: 05.06.2026]. 2025 წლის 2 ოქტომბერს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ (PACE) საქართველოს შესახებ რეზოლუცია მიიღო. რეზოლუციაში აღინიშნა, რომ „საქართველოს ხელისუფლება სისტემატურად უგულებელყოფს მის შეშფოთებას და რეკომენდაციებს საქართველოში დემოკრატიული კრიზისის შესახებ, რომლებსაც იზიარებს საერთაშორისო საზოგადოებაც“, ხოლო „დემოკრატიის სწრაფი უკუსვლა იმდენად გაგრძელდა, რომ საქართველოში დემოკრატიის არსებობა ამჟამად კითხვის ნიშნის ქვეშ დგას“. PACE sees a ‘breakdown of democracy’ in Georgia, urging its reversal, ხელმისაწვდომია: https://pace.coe.int/en/news/10050/pace-sees-a-breakdown-of-democracy-in-georgia-urging-its-reversal, [განახლებულია: 05.06.2026].

შეკრების თავისუფლების (მასობრივი დემონსტრაციების) საპასუხოდ, ხელისუფლებამ დაიწყო განსხვავებული აზრის წინააღმდეგ სხვადასხვა ფორმის რეპრესიები, რომლებიც დღემდე გრძელდება და ეს ფორმები დროდადრო პერმუტაციას განიცდის:

I. სახელმწიფოს შეერაცხება ასობით დემონსტრანტის სისტემური წამება.[9]

II. კონსტიტუციური ზღვრის დაუცველად გამკაცრდა ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ ღონისძიებებისთვის, რომლებიც უკავშირდება სამოქალაქო აქტივობებს.[10]

III. „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების ერთ-ერთი სამიზნე გამოხატვის თავისუფლება და მედიის საქმიანობა გახდა.[11]

IV. დაიწყო განსხვავებული პოზიციის მქონე საჯარო მოხელეების თანამდებობებიდან გათავისუფლება.[12]

V. საქართველოს ხელისუფლებამ სისტემური ნაბიჯები გადადგა დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ჯერ შესაზღუდად, ხოლო, თანდათანობით, შეზღუდვების მასშტაბის ზრდა სამოქალაქო სივრცის გაქრობის პრედომინანტურ მიზანზე მიანიშნებს.[13]

---

[9] „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ“, თბილისი, 2025, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/hPJNL, [განახლებულია: 05.06.2026]. ასევე იხილეთ - საქართველოს სახალხო დამცველის 2024 ანგარიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ. ანგარიში აღწერს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სერიოზულ სისტემურ პრობლემებს, მათ შორის, ინსტიტუციურ ხარვეზებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მაისისა და ნოემბერ–დეკემბრის პროტესტების ფონზე დაფიქსირებულ მრავალმხრივ დარღვევებზე. დოკუმენტში აღწერილია ღირსების შემლახავი და არასათანადო მოპყრობის, მათ შორის, წამების შემთხვევები.

[10] „რა ცვლილებები შევა შეკრების თავისუფლების შეზღუდვის მიზნით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში?“, საიას ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 16 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/ra-tsvlilebebi-shedis-administraciul-samartaldargvevata-kodeqsshi, [განახლებულია: 05.06.2026]. ადმინისტრაციული სამართალდარღვევთა კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, 174 პრიმა მუხლის მე-9 ან მე-10 ნაწილებით იზრდება სანქციები საპროტესტო აქციაზე აკრძალული ნივთების ქონასა და სავალი გზის გადაკეტვაზე. იხილეთ საიას შეფასება - https://gyla.ge/post/GYLA-avtoritaruli-kanonshemoqmedebis-shepaseba, [განახლებულია: 05.06.2026]. Urgent Opinion on the Amendments to the Law on Assemblies and Demonstrations, the Code of Administrative Offences and the Criminal Code of Georgia (as Adopted on 6 February 2025), ხელმისაწვდომია: https://odihr.osce.org/sites/default/files/f/documents/d/2/587466.pdf, [განახლებულია: 05.06.2026]; Urgent Opinion on Amendments to the Code of Administrative Offences and the Law on Assemblies and Demonstrations, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2025)004-e, [განახლებულია: 05.06.2026].

[11] „კანონები სიტყვის წინააღმდეგ” - საიამ გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველი კანონმდებლობის შესახებ ახალი კვლევა გამოაქვეყნა“, საიას ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის პირველი სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/Kanoni-sitkvis-tsinaagmdeg-sais-kvleva-gamokhatvistavisupleba, [განახლებულია: 05.06.2026].

[12] აბულაძე გ. „საჯარო სამსახურის „რეფორმის“ დამანგრეველი ეფექტი“, 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/4mLByR1, [განახლებულია: 05.06.2026]. „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ“, თბილისი, 2025, გვ. 121, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/hPJNL, [განახლებულია: 05.06.2026].

[13] 2024 წელს მიღებულმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ» რუსული სტილის კანონმა სავალდებულო გახადა ორგანიზაციების მასტიგმატიზებელ რეესტრში რეგისტრაცია. მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა 2025 წელს მიღებულმა კანონმა - ამერიკული უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტის (FARA) ტექსტობრივმა ანალოგმა, რომელიც სისხლის სამართლის სანქციებს ითვალისწინებს და, ინსტიტუციების მიტაცების პირობებში, სახიფათო ინსტრუმენტია დამოუკიდებელი ორგანიზაციების წინააღმდეგ. გარდა ამისა, „ქართულმა ოცნებამ“ 16 აპრილს დაჩქარებული წესით მიიღო მორიგი რეპრესიული ცვლილებების პაკეტი, რითაც საბოლოოდ აიკრძალა მთავრობის თანხმობის გარეშე

VI. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქვეყანას უპრეცედენტო რაოდენობის პოლიტიკური პატიმარი ჰყავს.[14]

VII. სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული პოლიტიკოსთა ნაწილი, მეორე ნაწილთან დაკავშირებით კი მიმდინარეობს გამოძიება.[15]

**პოლიტიკოსებთან მიმართებით ვითარება განსაკუთრებით დამძიმდა დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობის მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ.** 2025 წლის 3 სექტემბერს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნას,[16] რომლის საფუძველზეც, ოპოზიციური პარტიების აკრძალვის მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა დაანონსდა.[17] საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ოფიციალურად მიმართვამდე ვრცელი განცხადება გააკეთა სამი ოპოზიციური პარტიის აკრძალვის, როგორც წინასაარჩევნო დაპირების[18] შესრულების შესახებ.[19] 2026 წლის აპრილში კი მან ახალი სარჩელი დააა-

---

უცხოური გრანტების მიღება. ამ საკითხებზე ვენეციის კომისიის დასკვნა იხ. Opinion on the Law on the Registration of Foreign Agents, the Amendments to the Law on Grants and Other Laws Relating to "foreign Influence", European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2025)034-e, [განახლებულია: 05.06.2026].

[14] საია, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც შეიცავს პოლიტიკური მდგენელის რისკს, 2026, ხელმისაწვდომია: https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%20%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%20%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20(2).pdf [განახლებულია: 05.06.2026].

[15] საქართველოს პროკურატურის განცხადება, 06.11.2025, საქართველოს პროკურატურის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/news/sabotazhis-utskho-qveknisatvis-mtrul-saqmianobashi-dakhmarebis-saqartvelos-konstitutsiuri-tskobilebisa-da-erovnuli-ushishroebis-safudzvlebis-tsinaaghmdeg-mimartuli-saqmianobis-dafinansebis-da-saqartvelos-konstitutsiuri-tskobilebis-dzaladobit-shetsvlisaken-sakhelmtsifo-khelisuflebis-damkhobisaken-motsodebis-faqtebze-siskhlissamartlebrivi-devna-daitsko-mikheil-saakashvilis-giorgi-vashadzis-nika-gvaramias-nikanor-melias-zurab-girchi-jafaridzis-elene-khoshtarias-mamuka-khazaradzis-da-badri-jafaridzi [განახლებულია: 05.06.2026].

[16] 2003-2012 წლებში პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნისა და საქმიანობის ანალიზი, იხილეთ ქვეთავი 2.2.

[17] „საკანონმდებლო ორგანომ პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შედეგების შესახებ დადგენილება მიიღო", საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 6 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/media/news/sakanonmdeblo-organom-parlamentis-droebiti-sagamodziebo-komisiis-sakmianobis-shedegebis-shesakheb-dadgenileba-miigho, [განახლებულია: 05.06.2026].

[18] შალვა პაპუაშვილმა განაცხადა: „დღეს ვიწყებთ დაპირების სამართლებრივი ნაწილის შესრულებას». რა წერია სარჩელში, რომლითაც „ქართული ოცნება" 3 პარტიას აკრძალვას უპირებს, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/129769, [განახლებულია: 05.06.2026].

[19] განცხადება ფრაქცია „ქართული ოცნების", პოლიტიკური ჯგუფების „ხალხის ძალა" და „ევროპელი სოციალისტების" წევრების ერთობლივ კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია რამდენიმე პოლიტიკური პარტიის საქმიანობის არაკონსტიტუციურად ცნობა და მათი აკრძალვა, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/shpapuashvili/posts/pfbid07aufFsUBjSCHeqPWD2dwvbkLuu3cp63ToKebXksnA8kPSQTCSsQMvXAxg15kv9b6l?rdid=QWYikQly3wC3MNdk#, [განახლებულია: 05.06.2026].

ნონსა, რომელშიც უკვე არსებულ სამ პარტიას დაემატა პარტია „ფედერალისტებიც“.[20]

**მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ, ერთი მხრივ, პოლიტიკური პარტიების აკრძალვის საკითხის განხილვა და, მეორე მხრივ, კონკრეტულ პოლიტიკოსებთან მიმართებით სისხლის სამართლის საქმეების წარმოება მიმდინარეობს არსებითად მძიმე პოლიტიკური კონტექსტის პირობებში, რომელიც ხასიათდება: ძალაუფლების ერთი პარტიის ხელში თავმოყრით, დემოკრატიული პლურალიზმის პრინციპების თანდათანობითი ეროზიით, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და ავტონომიური სამოქალაქო სივრცეების სისტემური შევიწროებით, ასევე, სამართლებრივი ჩარჩოს ვიწროპარტიული ინტერესებისთვის ინსტრუმენტალიზაციით.**

### 2.2. საქართველოს პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა

2025 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტში შეიქმნა „2003–2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია“.[21] 2025 წლის 1-ელ აპრილს კი პარლამენტმა კომისიის საგამოძიებო ფარგლები, 2012 წლის ნაცვლად, დღემდე – 2025 წლამდე, გაზარდა.[22] კომისიის საქმიანობის მიზანი, განმარტებითი ბარათის მიხედვით, არის 2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების შეფასება, მათი გადაწყვეტილებების სამართლებრივ ჭრილში მოქცევა.[23]

**ამ კომისიის საქმიანობა პრობლემური იყო რამდენიმე მიმართულებით, რაც, ფაქტობრივად, მის ლეგიტიმურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა**. კონკრეტულად:

#### ა. დასაბუთების ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება

პარლამენტის რეგლამენტი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატორებს პირდაპირ უდგენს დასაბუთების ვალდებულებას,[24] შესაბამისად, აუცილებელი იყო, საგამოძიებო კომისიის ინიციატორებს სრულად და ამომწურავად დაესაბუთებინათ არა მხოლოდ კომისიის შექმნის მიზანი და საჭიროება, არამედ საქმიანობის მიმდინარეობის პროცესიც. *რეალურად, განმარტებითი ბარათი არ იძლეოდა სრულ ინფორმაციას იმაზე, კონკრეტულად რა საკითხები რატომ უნდა გამოძიებულიყო, ასევე, ვინ იქნებოდნენ გამოკითხულნი და რა დოკუმენტაცია იქნებოდა გამოძიებული სხდომებზე.* განმა-

[20] „პაპუაშვილის თქმით, პარტიების აკრძალვის საკონსტიტუციო სარჩელში ფედერალისტებსაც ამატებენ“, საინფორმაციო პორტალი „ტაბულა“, 2026 წლის 20 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/747507-papuashvilis-tkmit-partiebis-akrdzalvis [განახლებულია: 05.06.2026].

[21] საქართველოს პარლამენტის 2025 წლის 5 თებერვლის დადგენილება N240-IIმს-XIმპ.

[22] „პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ დადგენილებაში ცვლილება განხორციელდა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 1-ლი აპრილი, ხელმისაწვდომია:https://parliament.ge/media/news/parlamentis-droebiti-sagamodziebo-komisiis-shesakheb-dadgenilebashi-tsvlileba-gankhortsielda?fbclid=IwY2xjawJ_6JZleHRuA2FlbQIxMABicmlkETFicjlIZFhUT05yUkU1VkZ2AR7JvVh5z2AXaU_61zwGSGFLpWnxWwbR0ippb4KAQfgQ--HgCjDfe2hjxc3t3g_aem_6-3FfzsSoTTHIVng2V4PLg, [განახლებულია: 05.06.2026].

[23] განმარტებითი ბარათი „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტის თაობაზე.

[24] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 62-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

რტებითი ბარათი შემოიფარგლებოდა მხოლოდ ზოგადი ინფორმაციით 2003-2012 წლების რეჟიმის შესახებ და ბუნდოვნად ხსნიდა საგამოძიებო საკითხების რელევანტურობას. ამასთანავე, მასში საუბარია „რადიკალური ოპოზიციისგან“ მომდინარე საფრთხეებზე, რომ „ისინი გადამწყვეტ დაბრკოლებას უქმნიან საქართველოში ჯანსაღი პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას“.[25] თუმცა, წარმოდგენილი ინფორმაციით, უცნობია, რა მყისიერი საფრთხე არსებობდა.

მართალია, საგამოძიებო კომისია, როგორც პარლამენტის დროებითი ორგანო, თავისთავად, პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და მას არ აქვს ისეთი მაღალი სამართლებრივი მტკიცების სტანდარტი, როგორიც ორდინარულ საგამოძიებო უწყებებს, თუმცა მას, როგორც ხალხისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სახელმწიფო ორგანოს, მოეთხოვება დასაბუთების სტანდარტის დაცვა, მინიმუმ იქიდან გამომდინარე, რომ მისი დასკვნა, შესაძლოა, საფუძვლად დაედოს კონკრეტულ პირთა თუ პარტიათა სამართლებრივ პასუხისმგებლობას. დასაბუთების აუცილებლობა ერთ-ერთი პროცედურული ეტაპია კომისიის შექმნის პროცესში.[26]

**სწორედ კომისიის შექმნის საჭიროების დასაბუთების სიმწირიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ მისი საქმიანობის მიზანი სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის რეალური გამოძიება კი არა, კონკრეტული პოლიტიკური პარტიების მარგინალიზაცია და მათი აკრძალვისთვის შესაბამისი სამართლებრივ-პოლიტიკური საფუძვლის მომზადება იყო, რაზეც „ქართული ოცნების“ ლიდერები ღიად საუბრობდნენ.[27]**

### ბ. კომისიის შემადგენლობის პრობლემურობა

**გარდა დასაბუთების ნაკლებობისა, პრობლემური იყო კომისიის შემადგენლობაც.** კონსტიტუციის მიხედვით, საგამოძიებო ან სხვა სახის დროებით კომისიებში ოპოზიციის შემადგენლობა არ უნდა იყოს ნახევარზე ნაკლები.[28] ეს გულისხმობს არა მხოლოდ კვოტების შესაბამისად გადანაწილებას, არამედ კომისიის საქმიანობაში საპარლამენტო ოპოზიციის ფაქტობრივ ჩართვასაც. პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომებში ოპოზიციონერი წარმომადგენლების მონაწილეობა უზრუნველყოფს მის გამჭვირვალობას, დაბალანსებურობასა და ობიექტურობას. ამ შემთხვევაში კი კომისიის შემადგენლობაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობა და, ასევე, „ქართული ოცნებიდან“ გამოყოფილი ე.წ. „ოპოზიციური“ ჯგუფები, რომლებიც მმართველი პარტიის საარჩევნო სიით მოხვდნენ პარლამენტში.[29]

---

[25] იქვე.

[26] საკითხზე უფრო დეტალურად იხ. „ქართული ოცნების“ პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2025 წლის 21 მაისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/lqtaL, [განახლებულია: 05.06.2026].

[27] „ქართული ოცნების“ მიერ დაინიციირებული კანონპროექტი „ნაციონალური მოძრაობის“ „მემკვიდრე პარტიების არაკონსტიტუციურად გამოცხადებას“ ითვალისწინებს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2025 წლის 28 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/672285 [განახლებულია: 05.06.2026].

[28] საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[29] კომისიის წევრები იყვნენ: ფრაქცია „ქართული ოცნება“ (5 წევრი): თეა წულუკიანი (თავმჯდომარე), ალექსანდრე ტაბატაძე, თენგიზ შარმანაშვილი, ალუდა ღუდუშაური, პაატა სალია (შემდგომ ირაკლი ქადაგიშვილი), პოლიტიკური ჯგუფი „ხალხის ძალა“ (2 წევრი): სოზარ სუბარი (მდივანი), გურამ მაჭარაშვილი, პოლიტიკური ჯგუფი „ევროპელი სოციალისტები“ (1 წევრი): ილია ინჯია. ასევე, კვოტებით განსაზღვრულია 2 წევრი უფრაქციო დეპუტატებიდან (პარტიიდან „გახარია საქართველოსთვის“, რომელმაც პარლამენტში შესვლაზე უარი განაცხადა). იხ. საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელ საქართველოს პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიაში“ წევრთა რაოდენობა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“.

აქედან გამომდინარე, კომისიაში მათი არსებობა უფრო მეტად ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ვერ იქნება აღქმული, როგორც ოპოზიციის რეალური მონაწილეობა.

### გ. კომისიაზე გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები

ზოგადად, დროებით საგამოძიებო კომისიას უფლება აქვს, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით, ამა თუ იმ გარემოების გამო, მოიწვიოს ნებისმიერი პირი და მას წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვას. ეს უფლებამოსილება, ობიექტურ რეალობაში, უზრუნველყოფს კომისიის საგამოძიებო ფუნქციის ჯეროვან შესრულებას, სხვა მხრივ, იგი ვერ შეძლებდა საკითხის სრულად შესწავლასა და ობიექტური დასკვნის შემუშავებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საგამოძიებო კომისიის საქმიანობის დროს გამოიკვეთა, იყო გამოუცხადებლობა კომისიის სხდომაზე დაბარების შემთხვევაში. ოპოზიციური პარტიების ლიდერები, მოთხოვნის მიუხედავად, არ გამოცხადდნენ კომისიის სხდომაზე და არ ჩააბარეს ახსნა-განმარტებები. ამის საპასუხოდ, კომისიამ გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა ამ პირების შესახებ ინფორმაცია გამოუცხადებლობის თაობაზე, რაც საგამოძიებო უწყებამ, თავის მხრივ, სისხლის სამართლის დანაშაულად შეაფასა და 8 პოლიტიკოსს შესაბამისი ბრალი წარუდგინა.[30]

### დ. კომისიის საქმიანობის შედეგები გ. გახარიას წინააღმდეგ მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით

2025 წლის 2 სექტემბერს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის, თეა წულუკიანის მიერ გაკეთებული განცხადების მიხედვით, კომისიის მუშაობის შედეგად გამოიკვეთა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა 2019 წელს, შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას მიერ სოფელ ჩორჩანაში საგუშაგოს აღმართვასთან დაკავშირებით ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილების შედეგად.

თეა წულუკიანის თქმით: „ჩორჩანის საგუშაგოს აღმართვის საკითხზე საგამოძიებო კომისიის მიერ დადგენილი ფაქტები ერთობლიობაში აჩენს არაერთ ლეგიტიმურ კითხვას იმასთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდა კვლავაც ადგილი საქართველოში ცეცხლის კერის ხელოვნურად გაჩენის მცდელობას, როგორც ეს მოხდა 2008 წელს, და რა როლს ასრულებდა მოვლენების განვითარებაში თავად შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი გიორგი გახარია, ასევე, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი კახაბერ ქემოკლიძე, რომელიც, 2019 წლის ივლისამდე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა და არაერთი წლის მანძილზე ასრულებდა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მთავარი მომლაპარაკებლის ფუნქციას ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრებზე.“[31]

---

[30] **საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის ფაქტთან დაკავშირებით პროკურატურამ ბრალდება წარუდგინა მამუკა ხაზარაძეს, ირაკლი ოქრუაშვილს, ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს, გიორგი (გივი) თარგამაძეს, ნიკა გვარამიას, გიორგი ვაშაძეს, ნიკანორ მელიასა და ბადრი ჯაფარიძეს. ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 349-ე მუხლით არის გათვალისწინებული.** იხ. საიას განცხადება: „საია ეხმიანება „ქართული ოცნების“ საგამოძიებო კომისიის ლეგიტიმურობის საკითხსა და კომისიაზე დაბარებასთან დაკავშირებით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებს“, 21.05.2025, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/sagamodziebo-komisia-GYLA, [განახლებულია: 05.06.2026].

[31] პარლამენტმა დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა განიხილა, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 02.09.2025, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/media/news/parlamentma-droebiti-sagamodziebo-komisiis-daskvna-ganikhila [განახლებულია: 05.06.2026].

**პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნაში ვკითხულობთ**: *„[...] საგამოძიებო კომისიის მუშაობის შედეგად გამოიკვეთა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა 2019 წელს, შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი გახარიას მიერ სოფ. ჩორჩანაში საგუშაგოს აღმართვასთან დაკავშირებით ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილების შედეგად. ჩორჩანის საგუშაგოს აღმართვის საკითხზე საგამოძიებო კომისიის მიერ დადგენილი ფაქტები აჩენს არაერთ ლეგიტიმურ კითხვას იმასთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდა კვლავაც ადგილი საქართველოში ცეცხლის კერის ხელოვნურად გაჩენის მცდელობას, როგორც ეს მოხდა 2008 წელს, და რა როლს ასრულებდა მოვლენების განვითარებაში თავად ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია, ასევე, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი კახაბერ ქემოკლიძე, რომელიც 2019 წლის ივლისამდე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა და არაერთი წლის მანძილზე ასრულებდა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მთავარი მომლაპარაკებლის ფუნქციას ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრებზე [...]“.*[32]

[32] 2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა. გვ. 363. საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/media-32/september/04.09.2025/sagamodziebo13.01.2026.3869149534357782169.pdf. [განახლებულია: 05.06.2026].

## 3. წარდგენილი ბრალდების შინაარსი

### 3.1. გიორგი გახარიასთვის წარდგენილი ბრალდების აღწერა

გიორგი გახარიას ბრალი წარედგინა 2025 წლის 12 ნოემბერს ე.წ. ჩორჩანას ეპიზოდთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ.

ფაქტობრივი მონაცემების კუთხით, აღსანიშნავია, რომ:

- 2017 წლის 13 ნოემბერს გიორგი გახარია დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად, ამრიგად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ის იყო სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი.
- 2019 წლის 1-ელ მაისს გიორგი გახარია ასევე გახდა საქართველოს უსაფრთხოების საბჭოს მდივანი.
- გიორგი გახარიას საქმეზე **პროკურორია იაკობიძე თამარი,** ხოლო, **მოსამართლეები: კურტანიძე დავითი** (პირველი წარდგენა); **ბუგიანიშვილი ვალერიანი** (წინასასამართლო); **ჯინჯოლია დემეტრე** (არსებითი).

**<u>ბრალდების მხარის პოზიციით,</u> გიორგი გახარიას დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:**

1. 2019 წლის 24 აგვისტოს იმჟამინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ, რომელიც, იმავდროულად, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანი და მუდმივი წევრი იყო, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს უფლებამოსილების იგნორირებით და მთავრობის მეთაურთან შეუთანხმებლად, ასევე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან კოორდინაციისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ინფორმირების გარეშე, ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, სოფელ ჩორჩანასთან, დამატებითი საპოლიციო საგუშაგოს აღმართვის შესახებ. მან საგუშაგოსთან სამორიგეოდ გაანაწილა შეიარაღებული საპოლიციო ძალები, რითაც გადაამეტა შინაგან საქმეთა მინისტრის უფლებამოსილებას. საგუშაგოს აღმართვის ფაქტი, გიორგი გახარიას მონაწილეობით, ფართოდ გაშუქდა ტელევიზიებით, რამაც „საოკუპაციო რეჟიმის“ პროვოცირება გამოიწვია.
2. საყოველთაოდ ცნობილია, რომ 2008 წლის აგვისტოში შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად, რუსეთის ფედერაციის ჯარების მიერ მოხდა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, რა დროსაც რუსეთის ჯართან ერთად სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა დაიკავეს საქართველოს ადმინისტრაციული ტერიტორიები, მათ შორის, ცხინვალის რეგიონი მასში შემავალი სოფლებით. ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ფედერაციამ თავისი სამხედრო ბაზები განათავსა და დაიწყო უკანონო დემარკაციის პროცესი საქართველოსა და მის ადმინისტრაციულ ერთეულს - თვითგამოცხადებულ სამხრეთ ოსეთს შორის.
3. საოკუპაციო ხაზთან შექმნილი რთული პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, 2008 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (European Union Monitoring Mission in Georgia, EUMM) ხელმძღვანელ ჰანსიორგ ჰაბერს შორის გაფორმდა ტექნიკური შეთანხმება „კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების დროებითი მექანიზმის“ თაობაზე (Provisional Mechanism for the Prevention and Settlement of Disputes). **შეთანხმების მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტრო**

**იღებდა ვალდებულებას, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისთვის ეცნობებინა საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ზონებში ნებისმიერი ძალის განთავსების შესახებ, ამასთანავე, მიეწოდებინა დეტალური ინფორმაცია ამ ტერიტორიებზე უკვე არსებული პოლიციის ნაწილების შესახებ, მათ შორის, მათი ზუსტი რაოდენობის, განლაგების კონკრეტული ლოკაციების, გამოყენებული იარაღის ტიპის და ყველა შეიარაღებული არარეგულარული ჯგუფის თაობაზე.**

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში 2015 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი სახელმწიფო უსაფრთხოების სფერო გადაეცა ახლად შექმნილ დამოუკიდებელ უწყებას - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს. ამასთანავე, 2008 წლის 10 ოქტომბრის შეთანხმებაში 2015 წლის 21 დეკემბერს შევიდა ტექნიკური ხასიათის ცვლილება და ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ უსაფრთხოების პოლიტიკის განმსაზღვრელ მთავარ უწყებად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გამოცხადდა. უსაფრთხოების სამსახური, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების მაქსიმალური დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით, მის ხელთ არსებული ყველა მექანიზმის გამოყენებით, სხვა პასუხისმგებელ უწყებებთან ერთად, ახორციელებდა ადგილზე უსაფრთხოების ღონისძიებების კოორდინაციას. გარდა ამისა, 2015 წლის 1-ლი აგვისტოდან უსაფრთხოების სამსახური წამყვანი უწყება გახდა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფორმატის შეხვედრებში.

5. საქართველოს საოკუპაციო ხაზთან არსებული რთული პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ფორმატში უნდა განხილულიყო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება, საფრთხეები, რისკები და გამოწვევები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დაცვას. სწორედ საბჭოს ფორმატში სავალდებულო წესით უნდა მომხდარიყო მთავრობის მეთაურის და საბჭოს ყველა მუდმივი წევრის ინფორმირება „საოკუპაციო ხაზთან“ რეალური საფრთხის არსებობის შემთხვევაში.

6. 2019 წლის 24 აგვისტოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ოკუპირებული ცხინვალის წარმომადგენლებმა „ცხელი ხაზით“ აცნობეს, რომ სოფელ ჩორჩანას სიახლოვეს არსებული „ტალკის ქარხნის“ მიმდებარედ აღმართული იყო საგუშაგო, მიმდინარეობდა გზის გაყვანა და ადგილზე მობილიზებულნი იყვნენ შეიარაღებული პირები.

7. **2019 წლის 29 აგვისტოს, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) 95-ე შეხვედრაზე ცხინვალის რეჟიმის წარმომადგენლები საპასუხო ზომების მიღებით დაიმუქრნენ, თუ საგუშაგოს მშენებლობა არ შეჩერდებოდა.** შეხვედრიდან რამდენიმე დღეში, 2019 წლის 5 სექტემბერს, ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა დაიკავეს სიმაღლეები ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. შედეგად, საოკუპაციო ძალების კონტროლქვეშ აღმოჩნდა, დაახლოებით, 100 ჰექტარი ტყის მასივი. დამატებით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ყობის 3 მაცხოვრებლის და სოფელ წნელისის 1 მაცხოვრებლის სახლები. გარდა ამისა, 2008 წლის ომის შემდეგ, გამოვლინდა უკანონო აქტივობების უპრეცედენტო მასშტაბი, მძიმე სამხედრო ტექნიკის გადაადგილება დასახლე-

ბული პუნქტებისკენ, რამაც მხარეებს შორის შექმნა შეიარაღებული სამხედრო კონფლიქტის რეალური საფრთხე.

8. გიორგი გახარიამ განზრახ განახორციელა ისეთი ქმედება, რომელიც აშკარად სცილდებოდა მისი უფლებამოსილების ფარგლებს, რამაც საზოგადოების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

ბრალდების მხარის პოზიციით, მან ჩაიდინა დანაშაული – გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი კვალიფიკაციით: 333 (2) მუხლი.

**საგამოძიებო კომისიის მიგნებებისა და პროკურატურის მიერ ფორმულირებული ბრალის შედარებით, იკვეთება, რომ გამოძიების პროცესში სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის საფარველის ქვეშ საქართველოს პროკურატურა, მართალია, ღიად ერიდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხებთან დაკავშირებულ დასკვნაში აღწერილი მოსაზრებების მის კომპეტენციას დაქვემდებარებულ სამართლებრივ შეფასებას [მაგალითად, სხვა სისხლის სამართლებრივი კვალიფიკაციით], თუმცა, გახარიასთვის წარდგენილი ბრალდების ნარატივით, ხელს უწყობს საქმის გარშემო პროპაგანდისტული კონტექსტის შექმნას. ამან კი, საიას შეფასებით, შესაძლოა, მომავალში საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკის თვალსაზრისით საქართველოს სახელმწიფოს ინტერესის დაზიანება გამოიწვიოს.**

იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქმე ფორმალურად აგებულია უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, თუმცა, შინაარსობრივად, მას თან ახლავს სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და ტერიტორიული ინტერესების დაზიანების პოლიტიკური ინტერპრეტაცია. ამ ფონზე, გამოძიების შერჩევითი და არასრული ფოკუსი ბუნებრივად აჩენს დამატებით კითხვებს როგორც საქმის ობიექტურობასთან, ისე თავად სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნებთან დაკავშირებით.

### 3.2. დაცვის მხარის პოზიცია

დაცვის მხარე არ ეთანხმება ბრალდების შინაარსს და, პირიქით, გიორგი გახარიას ქმედებებს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის კუთხით „გადამრჩენ ნაბიჯად“ მიიჩნევს. დაცვის მხარე ეყრდნობა კახაბერ ქემოკლიძის ჩვენებას და პარლამენტის წევრების ჩვენებებს, რომლებიც მანამდე ადგილობრივებს გაესაუბრნენ. ასევე, მნიშვნელოვან მტკიცებულებადაა წარმოდგენილი EUMM-ის მიერ დაცვის მხარისთვის მიწოდებული პასუხები, სუს-ის არაერთი საპარლამენტო ანგარიში და სხვა რელევანტური წერილობითი მტკიცებულებები.

**როგორც საქმის მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, დაცვის მხარე არაერთი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, ისე სასამართლოს მხრიდან მტკიცებულებების მოპოვების ნაწილში. სახალხო დამცველის რეკომენდაციის[33] მიუხედავად, სუს-მა და შსს-მ დაცვის მხარეს ისიც კი არ უთხრეს, ინახებოდა თუ არა მათთან მტკიცებულებები, რათა შემდგომში დაცვას სასამართლოს გზით მათი გამოთხოვნის შესაძლებლობა მისცემოდა.**

[33] საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია სუს-ს, 12 იანვარი, 2026 წელი, N25/254.
საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია შსს-ს, 12 იანვარი 2026 წელი, N25/255.

### 3.2.1. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსის (2019-2021), კახაბერ ქემოკლიძის ჩვენება

**საქმეზე მნიშვნელოვან ჩვენებას იძლევა მოწმე კახაბერ ქემოკლიძე, რომელიც 2019 წლის 1-ლი აგვისტოდან 2021 წლის იანვრამდე ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი იყო.**

1. მოწმე ჩვენებაში აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 2016 წლის ნოემბერში, სოფელ ჩორჩანას მიმდებარე ტერიტორიაზე (საოკუპაციო ხაზის სიღრმეში, ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე), დე ფაქტო ხელისუფლების ე.წ. სასაზღვრო სამსახურმა, ე.წ. საზღვრის კვეთის ბრალდებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 5 პირი დააკავა. ამის შემდეგ, 2019 წლის ივნისში, საქართველოს მოქალაქე ბესიკ მჭედლიძე (სოფელ კოდას მაცხოვრებელი) ნადირობისას სოფელ წაღვლის ტყეში (ჩორჩანას და წაღვლის ტყის ზონა) შემთხვევით გადააწყდა დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის სასაზღვრო სამსახურის შეიარაღებულ ოფიცრებს, რომლებიც ადგილზე ახორციელებდნენ (საქართველოს მიერ „კონტროლირებად“ ტერიტორიაზე, სიღრმეში) ე.წ. „საზღვრის“ მარკირებას. ბესიკ მჭედლიძეს მათ წაართვეს სანადირო თოფი, რომელიც „გაქვითეს“ ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის გადასახადში და გაუშვეს სოფელში გზავნილით, რომ ეს ტერიტორია ოსეთის ისტორიული მიწა იყო და ამიერიდან ვინც „საზღვარს“ გადაკვეთდა, დააკავებდნენ.

2. ამ პირების დაკავების შესახებ ინფორმაცია უნდა ინახებოდეს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში. 2019 წლის 8 თებერვლის ერგნეთის 91-ე და 2019 წლის 22 მარტის ერგნეთის 92-ე ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრებზე აქტიურად განიხილებოდა დე ფაქტოების მიერ სოფელ ჩორჩანაში ე.წ. საზღვრის მარკირება ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. ნიშანდობლივია, რომ ამ შეხვედრებზე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად წარმოდგენილნი იყვნენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლები.

3. როგორც მოწმე აღნიშნავს, პირველი რეკოგნოსირება (ადგილზე ვითარების შესწავლა) შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტმა (რომლის მანდატია საქართველოს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ საზოგადოებრივი უსაფრთხოების და მართლწესრიგის დაცვა, მათ შორის, თანამოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა) დაიწყო სოფელ ჩორჩანაში **2019 წლის თებერვლის შუა რიცხვებში,** რა დროსაც მათ დე ფაქტო ცხინვალის მიერ ცენტრალური მთავრობის მიერ „კონტროლირებად“ ტერიტორიაზე, სიღრმეში, „ბორდერიზაციის“ ნიშნები (ხეებზე მარკირება) აღმოაჩინეს და დააფიქსირეს. ეს ინფორმაცია მიეწოდა როგორც შსს-ს ასევე სუს-ს. რადგან ყოველივე ზემოაღნიშნული ზრდიდა სოფელ ჩორჩანას ტერიტორიის მიტაცების რისკს, **2019 წლის მარტის დასაწყისიდან** შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტმა დაიწყო სოფელ წაღვლის და სოფელ ჩორჩანას დამაკავშირებელი გზის აღდგენა/გაყვანა.

4. ამ დროისთვის სამინისტროს პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონეზე უკვე მიღებული იყო გადაწყვეტილება საპოლიციო საგუშაგოს გახსნის თაობაზე. შესაბამისი სამუშაოები აპრილში უამინდობის გამო შეჩერდა და გაგრძელდა **2019 წლის ივლისის შუა რიცხვებში,** რადგან იმ პერიოდში გააქტიურდა „ბორდერიზაცია“. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ გუგუტიანთკარში „ბორდერიზაციის“ ხელახალი პროცესი დაიწყო, რომელიც, **პრეცედენტულად, პირველად, არა რუსეთის, არამედ დე ფაქტო ცხინვალის ე.წ. „სასაზღვრო სამსახურის“ წარმომადგენლების მიერ**

**განხორციელდა. აღნიშნული იძლეოდა მკაფიო ნიშნებს, რომ ისინი, 1922 წლის ე.წ. რუკის მიხედვით, „ბორდერიზაციის“ სათავისო გეგმას ააქტიურებდნენ, რაც გულისხმობდა დამატებით ტერიტორიულ პრეტენზიებს ქართულ მიწებზე.**

5. საგულისხმოა, რომ სოფელ გუგუტიანთკარში დე ფაქტოებმა უკვე არსებული მავთულხლართები, რომლებიც რამდენიმე წლის წინ რუსებმა გააკეთეს, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, სიღრმეში შემოწიეს და საკუთარი კონტროლის ქვეშ მოაქციეს სოფლის წყლის სათავე ნაგებობა. ცხინვალის დე ფაქტო წარმომადგენლები სოფელ ჩორჩანში დამატებით 1 800 ჰა ტერიტორიის დაკავებას გეგმავდნენ. გუგუტიანთკარში ეს პროცესები ვითარდებოდა სოფელ ჩორჩანში სტანდარტული საპოლიციო საგუშაგოს განთავსებამდე დაახლოებით 2-3 კვირით ადრე.

6. **2019 წლის ივლისის შუა რიცხვებში** შსს-მ ჩაატარა დეტალური რეკოგნოსირება და სოფელ ჩორჩანასა და სოფელ წაღვლის ტყის მასივში აღმოაჩინა დე ფაქტოების მიერ მოწყობილი ჩასაფრებები ე.წ. სამხედრო „რასწიაშკები“ (ქვეითი სახმელეთო პატრულის აღმოჩენის სასიგნალო მაშხალები), მათ მიერ მოხმარებული კვების პროდუქტების ნარჩენები. ოკუპაციის ხაზიდან ჩვენს მიერ „კონტროლირებად“ ტერიტორიაზე 350 მეტრის სიღრმეში დაფიქსირებული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საზღვრის“ აღმნიშვნელი მწვანე ბანერი და ხეებზე არსებული ძველი და ახალი მარკირება. ეს მასალები უნდა იყოს შსს-ში. ფოტომასალა იყო უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ დე ფაქტო ცხინვალის წარმომადგენლები, პრაქტიკულად, უკვე ითვისებდნენ ტერიტორიას ადგილზე პატრულირებით. **საგუშაგოს ჩადგმა კრიტიკულად აუცილებელი იყო მცოცავი ოკუპაციის შესაჩერებლად.**

7. საგუშაგოს ჩადგმა იმიტომაც იყო აუცილებელი, რომ შსს-ს გდდ-ს და ევროკავშირის მონიტორინგის მისიას ადგილზე პატრულირება თითქმის აღარ შეეძლოთ უსაფრთხოების კრიტიკულად მაღალი რისკების გამო. ასევე, საგუშაგოს განთავსება განსაკუთრებით აუცილებელი იყო სოფელ ჩორჩანას მაცხოვრებლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

8. მოწმის თქმით, როგორც მას ახსოვს, საპოლიციო საგუშაგო მოეწყო 2019 წლის 22 აგვისტოს საოკუპაციო ხაზიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე 240 მეტრის სიღრმეში.

9. **ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისაგან განსხვავებით, მოწმე ამბობს, რომ სუს-ის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელობა გაზაფხულზე ინფორმირებული იყო შსს-ს მიერ.** ასევე, საგუშაგოს საკითხი, მის აღმართვამდე, განხილული იყო EUMM-სა და სუს-ს შორის. მისივე თქმით, სუს-ის წარმომადგენლები EUMM-თან კომუნიკაციისას გამოხატავდნენ შეშფოთებას, რომ, თუ ცენტრალური მთავრობა რამეს არ მოიმოქმედებდა, არსებობდა ძალიან დიდი რისკი, რომ დე ფაქტოები ჩორჩანა-წაღვლის ტყეს მითვისებდნენ და მავთულხლართებით გადაღობავდნენ.

10. როგორც მოწმე ჩვენებაში უთითებს, **2019 წლის მაისში,** სუს-თან ერთად, EUMM-თანაც იყო გაზიარებული საგუშაგოს დადგმის საკითხი. ოფიციალური შეხვედრა გაიმართა თბილისში, შსს-ს შენობაში, გულუას N10-ში. შეხვედრას ესწრებოდა EUMM-ის ცენტრალური ოფისის ოპერაციების მენეჯერი - შვედი გაბრიელ ვან ჰორნი, ასევე იყო EUMM-ს გორის ოფისის ოპერაციების მენეჯერი - ფინელი ვილლე სიიკასალმი. შეხვედრის დასრულებისთანავე გაბრიელ ვან ჰორნმა შსს-ს მინისტრის მიერ გაზიარებული ინფორმაცია მიაწოდა EUMM-ის მაშინდელი მისიის ხელმძღვანელ ერიკ ჰოეგს. აღნიშნულ ინფორმაციას ფლობს თავად ვან ჰორნისგან.

11. გარდა ამისა, 2019 წლის 16 მაისს ერგნეთის 93-ე IPRM-ის შეხვედრაზე დე ფაქტოების მიერ ჩორჩანაში ე.წ. საზღვრის მარკირება კვლავ აქტიურად იყო განხილული ცენტრალური მთავრობის მიერ. **2019 წლის ივნისში** სოფელ წაღვლიდან სოფელ ჩორჩანას მიმართულებით გზის მოსწორება და დაგრუნტვა მიმდინარეობდა, რაზეც ინფორმირებული იყო EUMM და არაერთი სახელმწიფო სტრუქტურა, ვინაიდან სამუშაოები რამდენიმე მათგანის ტექნიკის გამოყენებით ხორციელდებოდა. ივლისში ერგნეთის 94-ე შეხვედრაზე კვლავ განიხილებოდა ჩორჩანაში დე ფაქტოების მიერ „ბორდერიზაციის“ საკითხი.

12. ყოველივე ზემოაღნიშნულით დასტურდება, რომ, როგორც სუს-ი, ისე ევროკავშირის მონიტორინგის მისია ინფორმირებულნი იყვნენ საგუშაგოს თაობაზე.

13. რაც შეეხება ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ფორმატში ამ საკითხის განხილვას, 2019 წლის 22 აგვისტოს მდგომარეობით, მოწმე აცხადებს, რომ ის უკვე აღარ იყო ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი და, მისი შეფასებით, ფორმალურად, საქართველოს ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სტანდარტული საპოლიციო საგუშაგოს აგება შსს-ს პრეროგატივა იყო. არცერთი საკანონმდებლო აქტი არ ავალდებულებდა მას ამ საკითხის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ფორმატში განხილვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რომელიმე უწყება ოფიციალურად არ მიმართავდა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს საკითხის განხილვის თაობაზე, რაც არც საგუშაგოს განთავსებამდე და არც შემდეგ არ მომხდარა.

14. კახაბერ ქემოკლიძის თქმით, ამავე პერიოდში, შემოდგომაზე, საოკუპაციო ხაზმა საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევში, სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით დაახლოებით 800-900 მეტრით წინ წაიწია, თუმცა არც ეს საკითხი განხილულა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ფორმატში. პრეტენზიაც არავის განუცხადებია. სტანდარტული საპოლიციო საგუშაგოს განთავსების საკითხი ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ფორმატში არ განიხილებოდა, თუ რომელიმე უწყება ამას არ მოითხოვდა. ასევე, უსაფრთხოების საბჭოს ფორმატში არ განხილულა გუგუტიანთკარში განვითარებული მოვლენები.

15. სინამდვილეში, საგუშაგოს განთავსებამ ცენტრალურ ხელისუფლებას დაახლოებით 1 680 ჰა მიწა შეუნარჩუნა და კვლავ ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ფარგლებში დატოვა. მანამდე, მიუხედავად იმისა, რომ 1985 წლის რუკის მიხედვით ტერიტორია ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებად ზონად ითვლებოდა, მისი ფაქტობრივი კონტროლი იმ დროისთვის, უკიდურესად გართულებული უსაფრთხოების ვითარებიდან და გეოგრაფიიდან გამომდინარე, თითქმის შეუძლებელი იყო.

16. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში მსგავსი ღონისძიება სულ ორი იყო: ერთი - ჩორჩანაში და მეორე - სოფელ პერევში, როდესაც საგუშაგომ დაახლოებით 800 მეტრით აიწია და, ასევე, ათეულობით ჰა ტერიტორია ქართული მხარის კონტროლქვეშ მოექცა. ორივე ეს შემთხვევა გახარიას პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგად მოხდა, რამაც გამოიწვია ამ ტერიტორიების დაბრუნება ცენტრალური მთავრობის ეფექტური კონტროლის ქვეშ.

17. ამ „წითელი ხაზების“ დაფიქსირებას ჰქონდა კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა, რადგან, მოწმის განცხადებით, მათთვის დადასტურებულად იყო ცნობილი, რომ დე ფაქტოები ცხინვალის რეგიონის მიმართულების ოკუპაციის ხაზზე 28 ტერიტორიულ ერთეულზე აცხადებდნენ პრეტენზიას. ცხადია, ეს ინფორმაცია უნდა სცოდნოდათ სუს-ის იმჟამინდელ უფროსს ვახტანგ გომელაურს და სუს-ის საინფო-

რმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის კურატორ მოადგილეს გრიგოლ ლილუაშვილს. ქემოკლიძემ თავის ჩვენებაში ასევე აღნიშნა, რომ დე ფაქტო პრეზიდენტი ბიბილოვს დე ფაქტო პარლამენტი და ადგილობრივი პოლიტიკოსები ედავებოდნენ, რომ „ქართველებმა ჩორჩანაში დაასწრეს მოქმედება, რის შედეგადაც, მათი ე.წ. 1922 წლის რუკის მიხედვით ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ „ისტორიული ოსეთის“ მიწები დაკარგა“.

18. დე ფაქტოები ე.წ. 1922 წლის რუკის მიხედვით, სოფელ ჩორჩანას მსგავსად, საუბრობდნენ ისეთ ტერიტორიებზე, რომლებზეც თვით რუსეთის საოკუპაციო ძალებიც კი არ პატრულირებდნენ და არ აცხადებდნენ პრეტენზიას. ეს მოიცავდა: საჩხერის, ხაშურის, გორის, კასპის, დუშეთის რაიონების ტერიტორიებს, ასევე თრუსოსა და ბორჯომის ხეობასაც კი. ჩორჩანაში სტანდარტული საპოლიციო საგუშაგოს განთავსებით, ქემოკლიძის განცხადებით, ასევე არ დაუშვეს ე.წ. 1922 წლის რუკის გამოყენების პრეცედენტი.

19. ქემოკლიძის შეფასებით, ეს ბრალდება არის ხელოვნური მანიპულირების მცდელობა, რადგან ფაქტი ისე წარმოჩნდება, თითქოს ჩორჩანას მიმდებარე ტერიტორიაზე დე ფაქტო ცხინვალის წარმომადგენლები პრეტენზიას არ აცხადებდნენ და არც მისი აქტიური „ბორდერიზაციის“ პროცესი არ ჰქონიათ დაწყებული. მოწმის თქმით, რეალურად, დაახლოებით 1 680 ჰა ტერიტორია შეინარჩუნეს და გეგმა ბოლომდე რომ განხორციელებულიყო, რომელიც მიმდებარე ფერდობებზე დამატებითი დროებითი საგუშაგოების განლაგებას ითვალისწინებდა, დე ფაქტოებს იმ საგუშაგოების მოწყობის საშუალებაც არ მიეცემოდათ, რომელიც მოგვიანებით ჩადგეს.

### 3.2.2. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2019, 2021 და 2024 წლების ანგარიშები

**ხაზგასასმელია სუს-ის 2019, 2021 და 2024 წლის ანგარიშები, რომლებშიც მოცემული ინფორმაცია, საიას შეფასებით, დაცვის მხარის არგუმენტებს ამყარებს.**

***ა. სუს-ის 2019 წლის ანგარიში***

> 2019 წლის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ანგარიშში ასახულია ამ წელს სასაზღვრო ზონაში არსებული მწვავე ვითარება. ანგარიშში წერია, რომ 2019 წლის აგვისტოში საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ გუგუტიანთკარში დაახლოებით 430 მეტრის სიგრძეზე უკანონოდ აღმართეს ლითონის მწვანე ღობე. შედეგად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა ორი ადგილობრივის საცხოვრებელი სახლი და სარწყავი არხის ნაწილი.
>
> 2019 წელს რუსეთის საოკუპაციო ძალებმა მიმართეს უკიდურესად შემაშფოთებელ და სახიფათო ქმედებებს, რამაც სერიოზულად დააზიანა უსაფრთხოების გარემო და დამატებითი პრობლემები შეუქმნა საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანას მიმდებარედ განვითარებული მოვლენები ამის ნათელი დადასტურებაა. [34]

[34] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2019 წლის ანგარიში, . 5, ხელმისაწვდომია: https://ssg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A1%202019%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf [განახლებულია: 05.06.2026].

აღნიშნული პროცესი დაიწყო 2019 წლის იანვარში, როდესაც საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლების - ჩორჩანასა და წაღვლის მიმდებარე ტყის მასივში, ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის 1 კილომეტრის სიღრმეში, ყვითელი საღებავით მონიშნეს ხეები და გაკაფეს ბილიკები უკანონო პატრულირებისთვის.[35]

უკანონო „ბორდერიზაციის“ პროცესის პრევენციისა და ადგილზე უსაფრთხოების გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე, საოკუპაციო ხაზიდან დაახლოებით 250 მეტრის დაშორებით, ქართული პოლიციის სტანდარტული საგუშაგო განთავსდა.[36]

უსაფრთხოების გარემოს უკიდურესად დამაზიანებელი უკანონო პროცესის ფარგლებში, საოკუპაციო ძალების მხრიდან დაიწყო საოკუპაციო ხაზთან მძიმე ტექნიკის განთავსება, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მობილიზება, თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე 1კმ და 300 მეტრის სიღრმეში გზის გაყვანა და უკანონო ინსტალაციების აღმართვა.[37]

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე საოკუპაციო ძალების პროვოკაციული მოქმედებების უპრეცედენტო მაგალითი იყო ხაშურის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზთან ახლოს, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) მონიტორების უკანონო დაკავება გარკვეული დროის განმავლობაში, მით უფრო, რომ EUMM-ს არა მხოლოდ საოკუპაციო ხაზთან, არამედ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოპერირების მანდატიც აქვს.[38]

2019 წლის 29 აგვისტოს სოფელ ერგნეთში გამართულ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრაზე ოკუპირებული ცხინვალის წარმომადგენლებმა ულტიმატუმის ფორმით მოითხოვეს ქართული პოლიციის სტანდარტული საგუშაგოს აღება, ხოლო 30 აგვისტოს გამართულ ტექნიკურ შეხვედრაზე - საგუშაგოს აღება და ტალკის ქარხნიდან სოფელ ჩორჩანამდე, ტყის მასივის ჩათვლით, ე.წ. ბუფერული ზონის შექმნა.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2019 წლის 30 აგვისტოდან IPRM-ის ფორმატში შვიდი ე.წ. ტექნიკური შეხვედრა გაიმართა.[39]

უკანონო ე.წ. ბორდერიზაცია ასევე დაფიქსირდა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა, მათ მიერვე 2018 წელს დაახლოებით 370 მეტრის სიგრძეზე აღმართულ ლითონის ბოძებზე ნაწილობრივ გაავლეს ლითონის მწვანე ღობე და მავთულხლართები.[40]

[35] იქვე, გვ. 6.
[36] იქვე.
[37] იქვე.
[38] იქვე.
[39] იქვე.
[40] იქვე.

### *ბ. სუს-ის 2021 წლის ანგარიში*

ამავე უწყების 2021 წლის ანგარიშში ასახულია შემდეგი: „2021 წელს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის - 9, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - 130 შემთხვევა დაფიქსირდა. უკანონო აქტივობები გამოიხატა როგორც ახალი მავთულხლართების გავლებაში, ისე ძველი მავთულხლართებისა და ღობეების განახლებაში, ე.წ. ხანძარსაწინააღმდეგო ხნულებისა და მიწათხრილების მოწყობაში, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერებისა და საგუშაგოების უკანონოდ აღმართვაში.[41]

ვითარება კვლავ დაძაბული იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანას მიმდებარედ, სადაც საოკუპაციო ძალის დესტრუქციული ქმედებების გამო კრიზისი 2019 წლის აგვისტოში წარმოიქმნა და საოკუპაციო ძალების არაკონსტრუქციული მიდგომების გამო, მისი მოგვარებისკენ ნაბიჯები ვერ იდგმება. ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა, საანგარიშო პერიოდში გამართულ როგორც ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების (GID), ისე ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფორმატში გამართული შეხვედრებისას, სოფელ ჩორჩანის კრიზისის დარეგულირებისთვის მუშაობის მზაობა არაერთხელ დააფიქსირეს, თუმცა აღნიშნულს შემხვედრი ნაბიჯები არ მოჰყოლია."[42]

### *გ. სუს-ის 2024 წლის ანგარიში*

2024 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ: „ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით გაგრძელდა ე.წ. გამშვები პუნქტების სელექციური ფუნქციონირების პრაქტიკა. გადაადგილება შესაძლებელი იყო თვეში მხოლოდ 10 დღის განმავლობაში. ე.წ. პუნქტზე მოძრაობის შესაძლებლობა ეძლეოდა არა ოკუპირებული რეგიონის ყველა მცხოვრებს, არამედ მხოლოდ ე.წ. ნებართვის მქონე პირებს.[43]

ამასთანავე, საოკუპაციო ძალა თავისუფალი გადადგილების უკანონო შეზღუდვას უკავშირდება სოფელ ჩორჩანას მიმდებარედ აღმართულ პოლიციის საგუშაგოს და მის აღებას ითხოვდა.

უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი, მათ შორის, ე.წ. გადასასვლელი პუნქტების აღმართვა და მათი შემდგომი, პერიოდულად, დახურვის პრაქტიკა, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეშ დარღვევას წარმოადგენს და ამძიმებს არსებულ

---

[41] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2021 წლის ანგარიში, გვ. 11, ხელმისაწვდომია: https://ssg.gov.ge/uploads/user-11-6512bd43d9caa6e02c990b0a82652dca/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D%20%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%202021%20%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98.pdf [განახლებულია: 05.06.2026].

[42] იქვე.

[43] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2021 წლის ანგარიში, გვ. 17, ხელმისაწვდომია: https://ssg.gov.ge/uploads/2025%20%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%202024%20pdf/%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%202024.pdf [განახლებულია: 05.06.2026].

უსაფრთხოების გარემოსა და ჰუმანიტარულ ვითარებას.[44]

ზემოაღნიშნული დესტრუქციული აქტივობები აგრესიული დეზინფორმაციის კამპანიის ფონზე მიმდინარეობდა, რაც კიდევ უფრო აზიანებდა უსაფრთხოების მყიფე გარემოს. დეზინფორმაციული განცხადებები უმეტესად საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზეწოლისთვის, საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად და ადგილობრივებზე მანიპულაციისთვის გამოიყენებოდა.[45]

**გავრცელდა არაერთი დეზინფორმაციული განცხადება. საანგარიშო პერიოდში საოკუპაციო რეჟიმმა კვლავ წამოჭრა ე.წ. დელიმიტაცია-დემარკაციის და „ძალის გამოუყენებლობის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის საკითხები. ამასთანავე, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზეწოლის მიზნით, საოკუპაციო ძალა პერიოდულად აჟღერებდა დეზინფორმაციას თრუსოსა და რუდის ხეობასთან დაკავშირებით, რაც მიზნად ისახავდა მათ კონფლიქტის ნაწილად ქცევას და საქართველოს აგრესორად წარმოჩენას.[46]**

**ე.წ. ჰიბრიდული ომის ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების კომბინაცია მიზნად ისახავდა ადგილზე ვითარების დესტაბილიზაციას, საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. ლეგიტიმაციას, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მათ მიმდებარედ მცხოვრები პირების დაშინებას, თბილისის დისკრედიტაციას და საოკუპაციო ხაზით გაყოფილი საზოგადოების გაუცხოებას.“[47]**

**მკაფიოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ანგარიშები მოწონებულია პარლამენტის მიერ:**

- 10.07.2020 - ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა, ხოლო 13.07.2020 - იურიდიულ საკითხთა, ასევე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტებმა დადებითად შეაფასეს სუს-ის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობა.
- ანალოგიურად, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა (20.06.2022) დადებითად შეაფასა სუს-ის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობა.
- საქართველოს პარლამენტის დადგენილებით (შალვა პაპუაშვილის ხელმოწერილია), დადებითად შეფასდა სუს-ის 2021 წლის საქმიანობა (20.09.22).
- თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა დადებითად შეაფასა სუს-ის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობა (24.06.2025). ასევე, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, დადებითადაა შეფასებული სუს-ის 2024 წელს გაწეული საქმიანობა.

**ზემოაღნიშნული კი მოწმობს, რომ წინა წლებში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშებში ასახული იყო ის, რითაც დაცვის მხარე პოზიციონირებს - 2019 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანას მიმდებარედ შექმნილი დაძაბული ვითარება და საოკუპაციო ძალის დესტრუქციული ქმედებები. ამ ანგარიშების შინაარსი კი მოწონებული აქვს საქართველოს პარლამენტსაც, რაც, მოგვიანებით, გიორგი გახარიას ბრალდების საფუძველი გახდა.**

[44] იქვე.
[45] იქვე. გვ. 18.
[46] იქვე.
[47] იქვე.

### 3.2.3. EUMM - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისგან დაცვის მხარის მიერ მოპოვებული ინფორმაციები 2019 წელს ჩორჩანას ტერიტორიაზე საგუშაგოს აღმართვასთან დაკავშირებით

ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურს (EEAS), როგორც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) ზედამხედველ ორგანოს, შეუძლია, ხელი შეუწყოს სასამართლოს ობიექტური სიმართლის დადგენაში. სწორედ ამ მიზნით მიმართა დაცვის მხარემ მათ განკარგულებაში არსებული შემდეგი ინფორმაციის მისაღებად:

1. არსებობდა თუ არა 2019 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანას ტერიტორიაზე საოკუპაციო ძალების წარმომადგენლების მიერ განხორციელებული უკანონო „ბორდერიზაციის“ ნიშნები? თუ არსებობდა, კონკრეტულად, რა ნიშნები იყო ეს და იყო თუ არა ამის შესახებ ინფორმირებული ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM)?
2. განიხილა თუ არა ჩორჩანაში საპოლიციო საგუშაგოს განთავსებამდე ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმმა (IPRM) ერგნეთში გამართულ შეხვედრაზე ჩორჩანას ტერიტორიაზე არსებული უკანონო „ბორდერიზაციის“ საკითხი და მასთან დაკავშირებული პრობლემები?
3. იყო თუ არა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) წინასწარ ინფორმირებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იმის შესახებ, რომ იგი გეგმავდა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, საოკუპაციო ხაზთან ახლოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანაში სტანდარტული საპოლიციო საგუშაგოს განთავსებას?
4. არსებობდა თუ არა რაიმე სახის კომუნიკაცია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასა (EUMM) და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შორის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანაში საპოლიციო საგუშაგოს მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით?

წერილზე დაცვის მხარისთვის გამოგზავნილი პასუხის თანახმად, **ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) ადასტურებს, რომ ყურადღებით აკვირდებოდა მოვლენების განვითარებას. 2019 წლის 16 სექტემბერს EUMM-მა გამოაქვეყნა განცხადება აღნიშნულ ტერიტორიაზე განხორციელებული დაკვირვების შედეგების შესახებ და დაადასტურა, მათ შორის, ხეებზე საღებავებით გაკეთებული ნიშნების არსებობა, ასევე, ქართული სადამკვირვებლო პოსტის მოწყობა**.[48]

16 სექტემბრის განცხადება კი შემდეგი შინაარსისაა: „მიმდინარე წლის იანვრიდან მისიამ დააფიქსირა ფერადი მონიშვნები ხეებზე წნელისსა და ჩორჩანას შორის არსებულ ტერიტორიაზე. მისიამ შეაფასა აღნიშნული მონიშვნები, როგორც „ბორდერიზაციის“ ნიშნები, თუმცა ამ მონიშვნებზე პასუხისმგებლობა არ აიღო არცერთმა მხარემ. 20-24 აგვისტოს შსს-ს სპეციალურ დავალებათა დეპარტამენტის მიერ სოფელ წნელისის განაპირას ახალი ქართული სათვალთვალო საგუშაგო მოეწყო. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მონაცემებით, საგუშაგო მდებარეობს დაახლოებით 240 მეტრის მოშორებით ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზიდან, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე, მითითებულ რაიონში არსებული ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ტრადიციული აღქმის მიხედვით.“[49]

კიდევ ერთ, 2019 წლის 24 ოქტომბრის განცხადებაში, რომელიც დაცვის მხარეს აქვს

[48] ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის  გენერალური მდივნის პასუხი, ბრიუსელი, 13.01.2026.
[49] 2019 წლის 16 სექტემბრის განცხადება: https://www.eumm.eu/ge/press_and_public_information/press_releases/36639/ [განახლებულია: 05.06.2026].

საქმის მასალებში წარმოდგენილი, ასახულია შემდეგი:

„24 ოქტომბერს, შუადღეს, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ჯგუფი ჩორჩანა-წნელისის ტერიტორიაზე პატრულირებისას სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების შეიარაღებულმა აქტორებმა მცირე ხნით დააკავეს. ამ მოვლენების შემდეგ მალევე მოხდა ცხელი ხაზის გააქტიურება ცხინვალის მხრიდან.

მისია ამ ეტაპზე ჯერ კიდევ სწავლობს ინციდენტის დეტალებს, რომელიც განვითარდა იმ ტერიტორიაზე, რომელიც მიიჩნევა თბილისის მიერ ადმინისტრირებად ტერიტორიად, ადმინისტრაციული საზღვრის ტრადიციული ინტერპრეტაციის შესაბამისად.

უსაფრთხოების საკითხებში უკანასკნელი მოვლენების განვითარების შემდეგ, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ, სტაბილურობის მხარდასაჭერად, ჩორჩანა-წნელისის ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად გაზარდა პატრულირება.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში ძლიერ შეშფოთებულია ამ შემთხვევით, როდესაც შეიარაღებული უსაფრთხოების ძალების წარმომადგენლები მისიის დამკვირვებლებს მათი მანდატის შესაბამისი ყოველდღიური საქმიანობის შესრულებაში ხელს უშლიან.“[50]

„ბორდერიზაციის“ პროცესთან დაკავშირებით ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის შეშფოთებისა და ცხინვალის დე ფაქტო ლიდერის პოზიციის შესახებ ინფორმაცია ასევე წარმოდგენილი აქვს დაცვის მხარეს საქმეში შემდეგი განცხადების სახით:

„ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის 91-ე შეხვედრა ცხინვალის რეგიონთან საოკუპაციო ხაზის მახლობლად მდებარე სოფელ ერგნეთში 8 თებერვალს გაიმართა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ გამოქვეყნებული პრესრელიზის მიხედვით, მისიის ხელმძღვანელმა ერიკ ჰოგმა აღნიშნა, რომ „უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარება შედარებით სტაბილური რჩება“, თუმცა ის გამშვები პუნქტების დახურვასა და ე.წ. „ბორდერიზაციასთან“ დაკავშირებულ მოვლენებსაც შეეხო, რაც „შეშფოთების მიზეზს იძლევა“.

„ბორდერიზაციის“ საკითხი დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო, რადგანაც თბილისმა შეხვედრამდე ორი დღით ადრე სოფელ ძუკაანთკარის მახლობლად „სათვალთვალო კოშკურის“ მშენებლობა გააპროტესტა.

იგორ ქოჩიევმა, რომელიც ცხინვალის ლიდერს ანატოლი ბიბილოვს წარმოადგენდა, შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „სათვალთვალო კოშკურა“ ხურვალეთში ადგილობრივ მოსახლეობას საფრთხეს არ უქმნის. მან იქვე დასძინა, რომ ეს ადგილობრივ მცხოვრებლებს დაეხმარება, რომ ბალახის დაწვა აღმოაჩინონ, რაც „ბოლო დროს ძალიან გახშირდა“.

ცხინვალის პოზიციას ოფიციალური თბილისი არ ეთანხმება. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა ირაკლი ანთაძემ განაცხადა, რომ სათვალთვალო კოშკურის მშენებლობა უკანონოა და, გარკვეულწილად, საფრთხეს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას. მანვე საოკუპაციო ხაზის მახლობლად, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ჩორჩანასა და წაღვლში მი-

[50] 2019 წლის 24 ოქტომბრის განცხადება: https://www.eumm.eu/ge/press_and_public_information/press_releases/36656/ [განახლებულია: 05.06.2026].

მდინარე ე.წ. „ბორდერიზაციის“ პროცესიც დაგმო.

მართალია, ანთაძემ განაცხადა, რომ უკანონო პროცესმა, შესაძლოა, ადგილზე უსაფრთხოების კუთხით არსებულ მყიფე ვითარებას ზიანი მიაყენოს, მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა სიტუაციას აკონტროლებს და ადგილობრივებისთვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველა საჭირო ზომას მიიღებს.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ აღნიშნა, რომ, მიუხედავად „რთული დისკუსიებისა“, შეხვედრის „ატმოსფერო პროფესიონალური იყო“.

მისიამ ასევე განაცხადა, რომ გამშვები პუნქტების დახურვის თაობაზე დისკუსიებს „ბორდერიზაციის“ შესახებ დებატები მოჰყვა, რა დროსაც მისიის ხელმძღვანელმა ერიკ ჰოგმა და ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიაში რუდოლფ მიხალკამ წუხილი გამოთქვეს იმ ზეგავლენის გამო, რომელსაც გამშვები პუნქტების დახურვა ახდენს გადაადგილების თავისუფლებაზე, საარსებო წყაროს მოპოვებაზე, ასევე განათლებისა და ჯანდაცვის მომსახურების წვდომაზე.

გამშვები პუნქტების დახურვაზე საუბრისას ცხინვალის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ეს პუნქტები საქართველოში ეპიდემიოლოგიური სიტუაციის ნორმალიზებისთანავე გაიხსნება. გამშვები პუნქტების დახურვის მთავარ მიზეზად საქართველოში ღორის გრიპის გავრცელება დასახელდა.

ევროკავშირის მისიის და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შეხვედრაზე არჩილ ტატუნაშვილის და დავით ბაშარულის გარდაცვალების საკითხზეც იმსჯელეს, რა დროსაც ქართულმა მხარემ ტატუნაშვილის შინაგანი ორგანოების და პირადი ნივთების გადმოცემა და ბაშარულის გარდაცვალების გამოძიება მოითხოვა.

IPRM-ის მომდევნო შეხვედრა ერგნეთში 20 მარტს გაიმართება.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში შეიქმნა და ის საქართველოს, ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის წარმომადგენლების, ასევე, ადგილზე მყოფი რუსი მესაზღვრეების ჩართულობით, ორ რეგიონში უსაფრთხოების საკითხების განხილვას ისახავს მიზნად.“[51]

### 3.2.4. ადგილობრივების შეფასებები და ადგილზე არსებულ მონიშვნებთან დაკავშირებული საჯარო წყაროები

**საიას შეფასებით, დაცვის მხარის პოზიციას ამყარებს არაერთი ღია წყაროს მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია, მათ შორის, სიუჟეტები და მათში მოცემული ინტერვიუები ადგილობრივებთან, რომლებიც საუბრობენ მონიშვნებისა და გართულებული გადაადგილების თაობაზე ჩორჩანასა და წაღვლის ტყეში.**

2019 წლის 18 თებერვალს **ტელეკომპანია იმედის**[52] ეთერში გასული სიუჟეტი ასახავს,

[51] „ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია: ერგნეთში IPRM-ის 91-ე შეხვედრა „პროფესიონალურ გარემოში“ გაიმართა“, Civil Georgia, 09.02.2019, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/276235 [განახლებულია: 05.06.2026].

[52] „ტელეკომპანია იმედი“ 2026 წლის 24 თებერვალს დასანქცირებულია გაერთიანებული სამეფოს მიერ, რუსეთის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ზომების ფარგლებში, იმისთვის, რომ ისინი ავრცელებდნენ „განზრახ შეცდომაში შემყვან ინფორმაციას“ რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის

როგორ ემზადებიან ჩორჩანისა და წაღვლის ტყეში რუსი ჯარისკაცები სადემარკაციო ხაზის გასავლებად. სიუჟეტში ასევე ნაჩვენებია ადგილობრივი მაცხოვრებლების ინტერვიუები და ასახულია ადგილზე არსებული ვითარება სტანდარტული საპოლიციო საგუშაგოს აგებამდე.[53] კიდევ ერთ სიუჟეტში გადმოცემულია სოფელ ჩორჩანას ტყეში 2019 წლის 8 თებერვლის მდგომარეობით ხეებზე არსებული მონიშვნები, როგორც მოსალოდნელი ე.წ. ბორდერიზაციის ნიშნები.[54] გარდა ამისა, **ტელეკომპანია ფორმულას** სიუჟეტში ადგილობრივები საუბრობენ მნიშვნელოვან გარემოებებზე ჩორჩანას საქმესთან დაკავშირებით.[55] **პირველი არხის** სიუჟეტში ასევე საუბარია ტყეში რუსი სამხედროების მიერ გაკეთებული ყვითელი ნიშნულების თაობაზე და იმაზე, რომ ხაშურის მაცხოვრებლებს ტყეში შესვლის ეშინიათ.[56]

**პირველი არხის** იუთუბ-გვერდზე ატვირთულ ვიდეოში გადმოცემულია 2019 წლის 26 ოქტომბერს საოკუპაციო ხაზთან არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას გამოხმაურება, რომელშიც ის აცხადებს, რომ **ყველა სახის რეაქცია ხელისუფლების მხრიდან შეთანხმებული იქნება ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორებთან და, რომ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა მოხდეს.** იმდროინდელი შს მინისტრი ვახტანგ გომელაური ამბობს, რომ ქვეყნის ოკუპაცია გრძელდება, რაც სამწუხარო ფაქტია, თუმცა იქვე დასძენს, რომ საუბარი იმაზე, თითქოს ქვეყანა ტერიტორიებს ახლა კარგავს, არასწორია. იმდროინდელი იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი კი ჟურნალისტებთან აცხადებს, რომ ოკუპაციას ხელისუფლება მშვიდობიან, მაგრამ პრინციპულ პოლიტიკას უპირისპირებს.[57]

2016 წლის მდგომარეობით, ჩორჩანას მოსახლეობა ყველაზე ხშირად ხვდება რუსი სამხედროების ტყვეობაში. პირველი არხის სიუჟეტში ნაჩვენებია, რომ ადგილობრივებს ეშინიათ ტერიტორიაზე გადაადგილების და აქვთ უამრავი პრობლემა.[58]

ასევე 2019 წლის 30 აგვისტოს პირველი არხის სიუჟეტში გადმოცემულია, რომ ოფიციალური თბილისის პოზიცია და მთავარი მიზანი მოსახლეობის დაცვა და სიტუაციის დეესკალაციაა. უსაფრთხოების დაცვის არგუმენტით, მმართველი გუნდი ჩორჩანაში პოლიციის საგუშაგოს შენარჩუნებას აუცილებლად მიიჩნევს.[59]

ადგილობრივების შეფასებებზე საუბრობს დაცვის მხარის **მოწმე შალვა კერესელიძე,** რომელიც ამ დროისთვის საქართველოს XI მოწვევის პარლამენტის წევრია „გახარია

---

შესახებ, რაც ძირს უთხრის უკრაინის სუვერენიტეტს. იხ. Civil.ge, Breaking: UK Sanctions Pro-Government Imedi, POSTV Channels, https://civil.ge/archives/722559, [08.06.2026].

[53] ჩორჩანასა და წაღვლის ტყეში რუსი ჯარისკაცები სადემარკაციო ხაზის გასავლებად ემზადებიან, 18 თებერვალი, 2019 წელი, TV IMEDI-ის იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=epvlsv_2sMA&pp=0gcJCQMLAYcqIYzv [განახლებულია: 05.06.2026].

[54] FC E0034, 10 თებერვალი, 2019 წელი, „ძალა ერთობაშიას“ იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=yxhZi_ZD-C0 [განახლებულია: 05.06.2026].

[55] „ოკუპაციის მძიმე ტვირთით ცხოვრება“, 21 ივნისი, 2025 წელი, Formula News-ის იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=LQmVo3HKx-U [განახლებულია: 05.06.2026].

[56] „ახალი საოკუპაციო ნიშნულები“, 10 თებერვალი, 2019 წელი, პირველი არხის იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=ubS5khEMuo8 [განახლებულია: 05.06.2026].

[57] „ვითარება საოკუპაციო ზოლთან“, 26 ოქტომბერი, 2019 წელი, არხის იუთუბ-გვერდი: https://www.youtube.com/watch?v=qEtpa0QC1AY [განახლებულია: 05.06.2026].

[58] „ჩორჩანა - სოფელი, რომელიც საოკუპაციო ხაზიდან ას მეტრშია, დახმარებას ითხოვს, 11 მარტი, 2016 წელი, პირველი არხის იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=HAqHoFOaRVo [განახლებულია: 05.06.2026].

[59] „ვითარება საოკუპაციო ხაზთან - პოლიტიკური შეფასებები“, 30 აგვისტო, 2019 წელი, პირველი არხის იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=6scgi5H8vGc [განახლებულია: 05.06.2026].

საქართველოსთვის“ პარტიული სიით. როგორც ის 2025 წლის 16 დეკემბერს მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, 2025 წლის 11 დეკემბერს პარლამენტის წევრებთან - გიგა ფარულავასა და ქეთევან ბაკარაძესთან[60] - ერთად ჩავიდა სოფელ ჩორჩანაში და გაესაუბრა ადგილობრივ მოსახლეობას. მათი მიზანი იყო, გაერკვიათ, რა შეიცვალა სოფელ ჩორჩანას მოსახლეობისთვის 2019 წლის აგვისტოში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სოფლის ტყეში საგუშაგოს ჩადგმის შემდეგ. ყველა პირმა, რომლებსაც ისინი ესაუბრნენ, ერთხმად აღნიშნა, რომ, რეალურად, საგუშაგოს ჩადგმამ დაიცვა სოფელი და ეს დროულად რომ არ მომხდარიყო, სოფელი იქნებოდა ოკუპირებული, ხოლო მოსახლეობა – გახიზნული. საგუშაგოს ჩადგმამ, გზის გაყვანამ, ამ პერიოდში განხორციელებულმა გაზიფიცირებამ და სოფლისთვის მაღალმთიანი სტატუსის მინიჭებამ მოსახლეობას გაუჩინა ხელისუფლების მხრიდან ზრუნვის, დაცულობის და სტაბილურობის შეგრძნება, გამოაცოცხლა სოფელი და შეაკავა შიდა მიგრაცია. ადგილობრივი მაცხოვრებლების განცხადებით, ისინი, როგორც მანამდე, ისევ ისე სარგებლობენ სოფლის მიმდებარე ტყით: ნადირობენ, ეზიდებიან შეშას, კრეფენ ჯონჯოლს, აძოვებენ პირუტყვს და სხვა.

მოწმე შალვა კერესელიძე თავის ჩვენებაში ასევე აღნიშნავს, რომ ადგილობრივები ერიდებიან ამ საკითხებზე საჯაროდ საუბარს და ოფიციალური ჩვენების მიცემას, ვინაიდან სპეცსამსახურების მხრიდან მკაცრად არიან გაფრთხილებულნი, არ ილაპარაკონ ამ საკითხებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემები შეექმნებათ. კერესელიძის ჩვენებას ადასტურებენ პარლამენტის წევრები გიგა ფარულავა და ქეთევან ბაკარაძე.

### 3.2.5. გ. გახარიას მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენება ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან და მათი სხვა განცხადებები

გიორგი გახარიას ბრალდებისა და სასამართლოში მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის განხილვის ეტაპზე, მნიშვნელოვანია, ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის განცხადებები შეფასდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის საფრთხის შექმნის კონტექსტში. ამ რისკების გათვალისწინებით, სისხლის სამართლის საქმის წარმოება კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს საქართველოს პროკურატურასა და სასამართლოს, საქმის წარმართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში იხელმძღვანელონ მაღალი სტანდარტით.

კერძოდ, საყურადღებოა, რომ გახარიას სისხლისსამართლებრივი დევნით წახალისებულმა ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენელმა იგორ კოჩიევმა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ სოფელ უისტასთან ქართული პოლიციის საგუშაგოს მოხსნა სამხრეთ ოსეთისთვის კვლავ საკვანძო საკითხად რჩება. **კოჩიევი ამ მიმართულებით პოზიტიურ ძვრებს ასახელებს. მისი თქმით, ერთ-ერთი დადებითი მოვლენა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი გახარიას წინააღმდეგ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნაა, რომელიც საგუშაგოს გახსნის ინიციატორი იყო.**[61]

[60] საქართველოს XI მოწვევის პარლამენტის წევრები „გახარია საქართველოსთვის“ პარტიული სიით.

[61] „იგორ კოჩიევი - სოფელ უისტასთან ქართული პოლიციის საგუშაგოს მოხსნა სამხრეთ ოსეთისთვის კვლავ საკვანძო საკითხად რჩება - ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს და უკვე შეინიშნება გარკვეული პოზიტიური ძვრები“, ინტერპრესნიუსი, 23.12.2025, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/858007-igor-kochievi-sopel-uistastan-kartuli-policiis-sagushagos-moxsna-samxret-osetistvis-kvlav-sakvanzo-sakitxad-rcheba-am-mimartulebit-mushaoba-mimdinareobs-da-ukve-sheinishneba-garkveuli-pozitiuri-zvrebi [განახლებულია: 05.06.2026].

„წნელისში განთავსებული ქართული საგუშაგო არის ეკალი, რომელიც მთელს რესპუბლიკას აყენებს ტკივილს“ - ამის შესახებ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ლიდერმა ანატოლი ბიბილოვმა ჟენევის თანათავმჯდომარეებთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.[62] მისივე თქმით, დროა, ქართულმა მხარემ აღიაროს, რომ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

[62] „ანატოლი ბიბილოვი - წნელისში განთავსებული ქართული საგუშაგო არის ეკალი, რომელიც მთელს რესპუბლიკას ტკივილს აყენებს“, ინტერპრესნიუსი, 20.11.2019, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/573630-anatoli-bibilovi-cnelisshi-gantavsebuli-kartuli-sagushago-aris-ekali-romelic-mtels-respublikas-tkivils-agenebs [განახლებულია: 05.06.2026].

## 4. საქმისთვის რელევანტური სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვა

**წარმოდგენილი საქმის ანალიზისთვის, საია მნიშვნელოვნად მიიჩნევს ეროვნული უსაფრთხოების კონსტიტუციური ჩარჩოს შეფასებას.**

საგულისხმოა, რომ 2017 წლის 13 ოქტომბრის საკონსტიტუციო რეფორმით გაუქმდა ეროვნული უშიშროების საბჭო. ამის ოფიციალურ მიზეზად დასახელდა მმართველობის ახალ მოდელში ამ მექანიზმის საჭიროების არარსებობა, რადგან თავდაცვის სფეროსგან დისტანცირდა პრეზიდენტი და ის მთავრობის კომპეტენციაში გადავიდა.[63] ეროვნული უშიშროების საბჭოს ნაცვლად, კონსტიტუციით განისაზღვრა ეროვნული თავდაცვის საბჭო, რომელიც მხოლოდ საომარი მდგომარეობის დროს იქმნება და მას პრეზიდენტი თავმჯდომარეობს.[64] გარდა სახელმწიფოს მეთაურისა, მასში შედიან პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, თავდაცვის მინისტრი და თავდაცვის ძალების მეთაური.[65] პრეზიდენტს შეუძლია, საბჭოს წევრებად პარლამენტისა და მთავრობის ცალკეული წევრები მოიწვიოს.[66]

### 4.1. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შექმნა და გაუქმება

ეროვნული უშიშროების საბჭოს გაუქმების შემდგომ დღის წესრიგში დადგა ახალი საკოორდინაციო საბჭოს შექმნა პრემიერ-მინისტრთან. ამ მიზნით, 2019 წლის 2 აპრილს შეიქმნა ეროვნული უსაფრთხოების საბჭო.[67] ამ სუბიექტის შექმნის აუცილებლობა განმარტებით ბარათში დასაბუთებულია იმით, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს გაუქმების შემდგომ გაჩნდა ერთგვარი ვაკუუმი, რის შესავსებადაც ეროვნული უსაფრთხოების საბჭო შეიქმნა.[68]

ეროვნული უსაფრთხოების საბჭო ფუნქციონირებდა 6 წლის განმავლობაში და 2025 წლის 26 ივნისს გაუქმდა დაჩქარებული წესით მიღებული კანონის საფუძველზე. დაჩქარებული წესის გამოყენების არგუმენტად დასახელდა მთავრობის გადაწყვეტილება ამ უწყების გაუქმების თაობაზე,[69] რის გამოც, არარელევანტურად მიიჩნიეს პროცესის გახანგრძლივება და გადადება.[70] თავად საბჭოს გაუქმების მიზეზად კი დასახელდა, რომ ის არ იყო კონსტიტუციური ორგანო, ხოლო მისი მუდმივმოქმედი წევრები იყვნენ მთავრობის წევრები და საქართველოს მთავრობას/პრემიერს დაქვემდებარებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელები,[71] რომლებსაც ყოველდღიურ რეჟიმში ისედაც ჰქონდათ ერთმანეთთან კოორდინაცია.

---

[63] განმარტებითი ბარათი საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, 73-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/149115 [განახლებულია: 05.06.2026].

[64] საქართველოს კონსტიტუცია, 73-ე მუხლი.

[65] იქვე.

[66] იქვე.

[67] „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4512576?publication=0, [განახლებულია: 05.06.2026].

[68] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/208711 [განახლებულია: 05.06.2026].

[69] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/393281?, [განახლებულია: 05.06.2026].

[70] იქვე.

[71] იქვე.

შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს არსებობა აღარ იყო აუცილებელი.[72]

ამ სუბიექტის როგორც შექმნის, ისე გაუქმების ინიციატორი საქართველოს მთავრობა იყო. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, ერთი მხრივ, მისი შექმნის მტკიცების აუცილებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, მალევე მისი დაჩქარებული წესით გაუქმების არგუმენტირება, სულ მცირე, მიუთითებს საკითხისადმი საკმაოდ ზერელე, გულგრილ დამოკიდებულებას. **ამასთანავე, სახელმწიფო უსაფრთხოების მაკოორდინირებელი სუბიექტების გაუქმება კონსტიტუციურ დონეზე, შემდგომ, მიმდინარე კანონით შექმნა და ისევ გაუქმება, მიუთითებს აღმასრულებელ ხელისუფლებაში საკითხის სიღრმისეული ცოდნის დეფიციტზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელია, მოიძებნოს ამ საკანონმდებლო ცვლილებების იურიდიულად ლოგიკური ახსნა.**

### 4.2. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სტატუსი და უფლებამოსილება

ეროვნული უსაფრთხოების საბჭო შეიქმნა 2019 წლის აპრილში, ეროვნული უსაფრთხოებისა და სახელმწიფო ინტერესებისთვის საფრთხის შემცველ საკითხებზე პრემიერ-მინისტრის ინფორმირებისა და მის მიერ მისაღები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მომზადების, სტრატეგიულ დონეზე ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მიზნით.[73] საბჭო ექვემდებარებოდა პრემიერ-მინისტრს და მისი სათათბირო ორგანო იყო.[74]

საბჭოს უფლებამოსილებებში შედიოდა საკითხთა საკმაოდ ფართო სპექტრის დამუშავება. ერთ-ერთ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარების განხილვა და გაანალიზება, იმ საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების შეფასება, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებოდა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დაცვას.[75] **ამ უფლებამოსილების ფარგლებში, საბჭოს შეეძლო, შეესწავლა, რამდენად მიზანშეწონილი იყო საგუშაგოს ჩადგმა საოკუპაციო ხაზთან, თუმცა შედეგები მას პრემიერ-მინისტრისთვის უნდა წარედგინა.** ეს გამომდინარეობდა თავად საბჭოს, როგორც მთავრობის მეთაურის სათათბირო ორგანოს სტატუსიდან.

### 4.3. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია მოქმედი რედაქციით

მას შემდეგ, რაც ეროვნული უსაფრთხოების საბჭო გაუქმდა, პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია საქართველოს მთავრობის კომპეტენციაში გადავიდა.[76] მთავრობის დადგენილებით, შეიძლება შეიქმნას მუდმივმოქმედი ან დროებითი კომისიები ან/და სამუშაო ჯგუფები, რომლებიც იმუშავებენ ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავებაზე, გადახედვასა და განახლებაზე.[77]

---

[72] იქვე.

[73] „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2019 წლის 2 აპრილის რედაქცია, მე-19[1] მუხლის პირველი პუნქტი.

[74] იქვე, მე-2 და მე-3 პუნქტები.

[75] იქვე, მე-19[2] მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

[76] „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი.

[77] იქვე, მე-2 პუნქტი.

### 4.4. შინაგან საქმეთა მინისტრის მხრიდან ერთპიროვნულად მოქმედების შესაძლებლობა

შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულებით, სამინისტროს საქმიანობის სფეროა, მათ შორის, სახელმწიფო საზღვრის დაცვა.[78] ამასთანავე, სამინისტროს ერთ-ერთ ამოცანად განსაზღვრულია საქართველოს სახელმწიფო საზღვრისა და საქართველოს საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის დაცვა და კონტროლი.[79] მინისტრი კი აწესრიგებს სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს.[80]

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია, კანონით განსაზღვრულ უწყებებთან ერთად, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.[81]

**პრაქტიკულ დონეზე, შსს-ს და სუს-ს შეეძლოთ, კოორდინირებულად ემოქმედათ ჩორჩანაში საგუშაგოს დადგმის ნაწილში. თუმცა, კანონის ჩანაწერით, სუს-ი უფლებამოსილია, და არა ვალდებული, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩაერთოს საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. შსს-ს კი საზღვრის დაცვა განსაზღვრული აქვს საკუთარ ამოცანად, რაც ვალდებულებად უნდა აღვიქვათ.**

### 4.5. საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები

საქართველოს პარლამენტი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, აგრეთვე, ნდობის ჯგუფის მეშვეობით, აკონტროლებს უსაფრთხოების სექტორს და მასში შემავალ ორგანოებს, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს.[82] ნდობის ჯგუფი არის 5-წევრიანი სუბიექტი, რომელიც უფლებამოსილია, გააკონტროლოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებები.

ნდობის ჯგუფი კონტროლის სხვადასხვა ბერკეტით არის აღჭურვილი. ჩორჩანის საკითხთან დაკავშირებით, მას შეეძლო, ინფორმაცია გამოეთხოვა შესაბამისი სუბიექტებისგან,[83] ასევე, საკუთარ სხდომებზე დაებარებინა შესაბამისი თანამდებობის პირები და ადგილზე მიეღო მათგან ინფორმაცია.[84] გარდა ამისა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს თავის სხდომაზე შეეძლო თანამდებობის პირების დაბარება,[85] ან მათგან ინფორმაციის გამოთხოვნა. აგრეთვე, ინდივიდუალურ დეპუტატებს რეგლამენტი სა-

---

[78] საქართველოს მთავრობის დადგენილება №337 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ, მე-3 მუხლი, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/uploads/68ac1e3464377.pdf, [განახლებულია: 05.06.2026].

[79] იქვე, მე-4 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/uploads/68ac1e3464377.pdf, [განახლებულია: 05.06.2026].

[80] იქვე, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/uploads/68ac1e3464377.pdf, [განახლებულია: 05.06.2026].

[81] მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, ხელმისაწვდომია: https://ssg.gov.ge/uploads/%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/1.%20%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98.pdf, [განახლებულია: 05.06.2026].

[82] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 154-ე მუხლი.

[83] იქვე, 157-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[84] იქვე, 157-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

[85] იქვე, 147-ე მუხლი.

შუალებას აძლევდა, კითხვის გაგზავნით მიეღოთ მათთვის სასურველი ინფორმაცია.[86] ფრაქციას ან პარლამენტის წევრთა შვიდკაციან ჯგუფს ასევე შეეძლო, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ინტერპელაციის წესით დაებარებინა შინაგან საქმეთა მინისტრი ან სხვა თანამდებობის პირი და დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა მოეთხოვა.[87]

გარდა ზემოთ დასახელებული მექანიზმებისა, პარლამენტს შეეძლო, საგამოძიებო კომისია შეექმნა და მის ფარგლებში შეესწავლა ჩორჩანაში საგუშაგოს ჩადგმის საკითხი.

მოწმე კახაბერ ქემოკლიძე თავის ჩვენებაში პრემიერ-მინისტრის, მთავრობის წევრებისა და შესაბამისი უწყებების პირველი პირების ინფორმირებასთან დაკავშირებით ასევე აღნიშნავს, რომ გახარიას თქმით, ასეც მოხდა – სხვაგვარად, უბრალოდ, წარმოუდგენელია, ლოგისტიკურად შესაძლებელი გამხდარიყო ამ საგუშაგოს განთავსება, პროცესში ეს იმდენი აქტორის ჩართულობას მოითხოვდა.

### 4.6. შეჯამება

მოცემულ საქმეში, მნიშვნელოვანია, სასამართლომ შეაფასოს არა მხოლოდ პროკურატურის მიერ ბრალად წარდგენილი კონკრეტული ქმედება, არამედ ისიც, ხომ არ მოხდა უფლებამოსილების გადამეტების შემადგენლობის ისეთი ფართო განმარტება, რომელმაც, ფაქტობრივად, პოლიტიკური გადაწყვეტილების კრიმინალიზება გამოიწვია.

ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის შეფასებას, რამდენად მკაფიოა ზღვარი არასწორ პოლიტიკურ ან ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებასა და სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას შორის. მაშინაც კი, თუ გახარიას მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეფასდება, როგორც მცდარი ან არასწორი პოლიტიკური ნაბიჯი, სასამართლომ უნდა დაადგინოს, საკმარისია თუ არა ეს გარემოება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. დემოკრატიულ სამართლებრივ სისტემებში არასწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება, თავისთავად, არ არის დანაშაული და მისი კრიმინალიზაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარად იკვეთება დანაშაულის ყველა აუცილებელი ელემენტი.

ამასთანავე, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს საქმის პოლიტიკურ კონტექსტზეც. 2019 წელს, როდესაც საგუშაგო გაიხსნა, გიორგი გახარია იმავე მმართველ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა, რომლის პირობებშიც ეს გადაწყვეტილება იყო მიღებული. იმავდროულად, ამის შესახებ იცოდნენ შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა, გადაწყვეტილება არ ყოფილა გასაიდუმლოებული და მის მიმართ მყისიერი სამართლებრივი რეაგირება არ მომხდარა. პირიქით, გადაწყვეტილების მიღების შემდგომ გახარია კვლავ აგრძელებდა მაღალი პოლიტიკური თანამდებობების დაკავებას. ეს გარემოებები, თავისთავად, არ გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუმცა აჩენს ლეგიტიმურ კითხვებს იმის შესახებ, რამდენად შეიძლება წლების შემდეგ იგივე გადაწყვეტილება შეფასდეს, როგორც ერთი პირის თვითნებური და დანაშაულებრივი ქმედება.

სასამართლომ ასევე უნდა შეაფასოს, არსებობს თუ არა პოლიტიკური ნიშნით დევნის რისკი. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, ხომ არ გამოიყენება სისხლისსამართლებრივი დევნა

[86] იქვე, 148-ე მუხლი.
[87] იქვე, 149-ე მუხლი.

პოლიტიკური ოპონენტების მიმართ იმგვარად, რომ სამართლებრივი პროცესი, რეალურად, პოლიტიკური ანგარიშსწორების ინსტრუმენტად იქცეს.

აგრეთვე, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, რამდენად არსებითი იყო ბრალდებაში მითითებული პროცედურული დარღვევა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საკმარისი არ არის მხოლოდ ფორმალური ან ტექნიკური ხასიათის პროცედურული გადაცდომის არსებობა. ბრალდების მხარემ სასამართლოს უნდა დაუსაბუთოს, რომ დარღვეული პროცედურა განეკუთვნებოდა ფუნდამენტურ სამართლებრივ მექანიზმს, რომლის უგულებელყოფამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და სწორედ ამიტომ აღწევს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზღვარს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკითხი, შესაძლოა, დარჩეს პოლიტიკური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სფეროში.

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის ფარგლებში, გამოიკვეთა შსს-ს ვალდებულება, დაიცვას სახელმწიფო საზღვარი და გააკონტროლოს იგი. ეს სამინისტროს ცალსახა ვალდებულებაა. სუს-ი კი მხოლოდ უფლებამოსილია, და არა ვალდებული, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ჩაერთოს ამ პროცედურაში. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე.88 რადგანაც შსს-ს საქმიანობის სფერო გულისხმობს საზღვრის დაცვასა და კონტროლს, მინისტრი უფლებამოსილი იყო, ამ საკითხთან დაკავშირებით მიეღო გადაწყვეტილება.

რაც შეეხება ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს, მას, როგორც კოლეგიურ სათათბირო ორგანოს, შეეძლო, თუმცა არ იყო ვალდებული, შეესწავლა საგუშაგოს ჩადგმის საკითხი და მისი შედეგები წარედგინა პრემიერ-მინისტრისთვის. ამასთანავე, საბჭო დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. იგი მხოლოდ რჩევის შემუშავებით შემოიფარგლებოდა, რადგან მისი სტატუსი მთავრობის მეთაურის სათათბირო ორგანოდ განისაზღვრა.

გარდა ამისა, მოცემულ საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც განზრახვის, ისე მიზეზობრივი კავშირის დადგენას. მცოცავი ოკუპაციისა და კომპლექსური უსაფრთხოების გარემოს პირობებში, სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად შესაძლებელია სადავო შედეგის უშუალოდ გახარიას გადაწყვეტილებასთან დაკავშირება და რამდენად დასაბუთებულია პროკურატურის მტკიცება, რომ სწორედ აღნიშნულმა ქმედებამ გამოიწვია ბრალდებაში მითითებული ზიანი.

შესაბამისად, საქმის სამართლებრივი შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება არა მხოლოდ იმის დადგენას, დაირღვა თუ არა კონკრეტული პროცედურა, არამედ იმასაც, შეძლებს თუ არა ბრალდების მხარე, დაადასტუროს, რომ ეს დარღვევა იყო არსებითი ხასიათის, წარმოადგენდა უფლებამოსილების გადამეტებას სისხლის სამართლის გაგებით, ჰქონდა დანაშაულებრივი განზრახვა და პირდაპირ უკავშირდებოდა გამოწვეულ შედეგს. მხოლოდ ამ პირობების არსებობის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი პოლიტიკური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სფეროდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სფეროში გადასვლა.

[88] საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, მუხლი 20, პუნქტი 1.

## 5. საქმეში სამართლიანი სასამართლოს პროცედურული გარანტიების შეფასება

### 5.1. დაცვის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა

ჩორჩანას საგუშაგოს საკითხთან დაკავშირებით რელევანტური საჯარო ინფორმაციების მიღებისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, დაცვის მხარემ მიმართა როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს და მთავრობის ადმინისტრაციას. თუმცა, არცერთმა მათგანმა დაცვის მხარეს მოთხოვნილი ინფორმაციები არ მიაწოდა, მეტიც **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პასუხი ადვოკატის წერილზე, გარკვეულწილად, არაკორექტულიც კი იყო:**

***„2025 წლის 19 ნოემბრის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ გამოაგზავნეთ ბევრი ვრცელი შეკითხვა, რომლებზეც პასუხი (გარდა იმისა, რომ მოითხოვს საკმაოდ მასშტაბური სამუშაოების შესრულებას), ჩვენი სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულების დეტალურ აღწერას გულისხმობს.***

***შეიძლება ითქვას, რომ მოითხოვეთ ერთგვარი ვრცელი ანგარიში ისეთ საკითხებზე, რომლებზეც პასუხი არათუ რომელიმე ბრალდებულის ადვოკატზე, არამედ საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებზეც კი არ გაიცემა ხოლმე.***

***შესაბამისად, ჩვენ აღნიშნულ წერილზე არ გიპასუხებთ. აქვე შეგვიძლია გაცნობოთ, რომ არც მომავალში ვაპირებთ მსგავს საკითხებზე მიმოწერით თუ სხვა ნებისმიერი ფორმით საუბარს.“***[89]

უნდა აღინიშნოს, რომ დაცვის მხარეს ეს ინფორმაცია დაცვის უფლების სრულყოფილად რეალიზებისთვის ესაჭიროებოდა.

ადვოკატმა ასევე შსს-დან გამოითხოვა ინფორმაცია: საგუშაგოების ოდენობის თაობაზე, რა პერიოდიდან შეინიშნებოდა სოფელ ჩორჩანას ტერიტორიაზე საოკუპაციო ძალების მხრიდან მოსალოდნელი უკანონო „ბორდერიზაციის“ ნიშნები და ამის შესახებ ვინ იყო შსს-დან ინფორმირებული, ასევე, გომელაურის (სუს-ის იმდროინდელი ხელმძღვანელის) მხრიდან ხომ არ ყოფილა დაყენებული საკითხი, ჩორჩანას თემა განხილულიყო სამთავრობო სხდომის ფორმატში და სხვა).

შსს-მ ადვოკატს არ მიაწოდა ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია: ნაწილი – „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონმდებლობის რეგულირების ფარგლებში მოქცევის მომიზეზებით, ნაწილი – მოცულობისა და რთულად დამუშავების საბაბით, ნაწილთან დაკავშირებით კი განმარტეს, რომ ისინი სცილდებოდა შსს-ს კომპეტენციას.[90]

მთავრობის ადმინისტრაციამ ადვოკატის განცხადება, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ისეთ კითხვებსაც მოიცავდა, როგორიცაა, მაგალითად, აქვს თუ არა სუს-ს მიმართული მთავრობის მეთაურისთვის ჩორჩანას საკითხზე და „ბორდერიზაციის“ პროცესთან დაკავშირებით სამთავრობო ფორმატში სამსჯელოდ, სუს-ში გადაგზავნა, სზაკ-ის მე-80 მუხლზე მითითებით (უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნა).

სუს-ის და შსს-ს მხრიდან დაცვის კონსტიტუციური უფლებაზე ამგვარი ზემოქმედებით, ფაქტობრივად, დარღვეულია სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანა-

[89] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 24.11.2025 წლის N SSG 6 25 00288013 წერილი.

[90] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 28.11.2025 წლის N MIA 7 25 03962267 წერილი.

სწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. დაცვის მხარე, უკანონოდ, მოკლებულია შესაძლებლობას, მოიპოვოს გამამართლებელი მტკიცებულებები, რითაც, ბრალდების მხარესთან შედარებით, დისკრიმინაციულ პოზიციაში იმყოფება.

დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – წარმომადგენლის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით.[91]

ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე, მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, ხოლო თუ მას არ აქვს ამის ფინანსური შესაძლებლობა – ენიჭება უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ამასთანავე, ბრალდებულს უფლება აქვს: დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესით; მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად; მონაწილეობა მიიღოს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში; მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დროს.[92]

იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს. ადვოკატს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით გაეცნოს ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, მიიღოს მტკიცებულებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალები, მათ შორის, გამოკითხვის ოქმების ასლები, აგრეთვე, ისარგებლოს ბრალდებულის ყველა უფლებით და დაცვის მხარის ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.[93]

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.[94]

ბრალდებულს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით, თვითონ ან/და ადვოკატის დახმარებით მოიპოვოს მტკიცებულება. ბრალდებულის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. თუ მტკიცებულების მოსაპოვებლად საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებენ, იგი უფლებამოსილია, შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით.[95]

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემასა ან კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში ინახება სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, დაცვის მხარე უფლებამოსილია, გამოძიების ადგილის

[91] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31 (3).
[92] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 38 (3, 7).
[93] იქვე, მუხლი 44 (3).
[94] იქვე, მუხლი 9.
[95] იქვე, მუხლი 39.

მიხედვით მიმართოს სასამართლოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვნის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.[96] დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოაჩინონ და ამოიღონ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ამის განხორციელება შესაძლებელია, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის.[97]

**სწორედ ამ საფუძვლით, სახალხო დამცველმა სუს-ისა[98] და შსს-ს[99] მიმართ გამოსცა რეკომენდაცია, რომ უწყებებს დაედასტურებინათ ინფორმაციის ფლობის ფაქტი, რათა შემდგომში ადვოკატს ჰქონოდა შესაძლებლობა, მიემართა სასამართლოსთვის მტკიცებულების მოსაპოვებლად საჭირო საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად განჩინების მისაღებად.**

მანამდე კი, 2025 წლის 11 დეკემბერს, ადვოკატმა იშუამდგომლა თბილისის საქალაქო სასამართლოს წინაშე ამოღების ჩატარების შესახებ განჩინების გაცემაზე, რათა მიეღო სუს-ში (ასევე, ანალოგიურად, შსს-ში) დაცული დოკუმენტაცია და კორესპონდენცია, რომლებიც შეეხება საოკუპაციო ხაზთან, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანაში, საპოლიციო საგუშაგოს განთავსებასთან დაკავშირებულ და შემდგომ განვითარებულ პროცესებს.

ამავე წლის 12 დეკემბრის განჩინებით, სასამართლომ ამაზე უარი უთხრა იმ მოტივით, რომ ადვოკატის მოთხოვნა იყო ზოგადი, აბსტრაქტული და შუამდგომლობაში არ იყო დაკონკრეტებული, რომელი დოკუმენტის ამოღებას ითხოვდა. ეს განჩინება ადვოკატმა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა, უშედეგოდ.

***როდესაც დაცვის მხარეს ცალსახად ექმნება ბარიერები, მოიპოვოს საქმისთვის რელევანტური მტკიცებულებები, მას, ფაქტობრივად, ეზღუდება ეფექტიანი დაცვის უფლება. კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ადვოკატს/ბრალდებულს ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა, მოიპოვოს გამამართლებელი ან შემამსუბუქებელი მტკიცებულებები.***

***დაუშვებელია, სახელმწიფო ორგანო მიზანმიმართულად უზღუდავდეს დაცვის მხარეს მის ხელთ არსებულ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, უსაფუძვლოდ უარს ეუბნებოდეს დოკუმენტების გაცემაზე, მალავდეს გამამართლებელ მტკიცებულებებს ან აჭიანურებდეს მასალების მიწოდებას. როდესაც ამას ემატება სასამართლოს უმოქმედობა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სამართლიანი სასამართლო განხილვის საკითხიც, დაცვის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისა და შეჯიბრებითობის/თანასწორობის პრინციპების დარღვევის გამო.***

### 5.2. ბრალდების მხარის მიერ მნიშვნელოვანი მოწმეების უგულებელყოფა

**ბრალდების მხარემ არ გამოჰკითხა საქმეზე ბრალდებული პირი გიორგი გახარია.** ამ საკითხზე თავად დაცვის მხარემაც დააყენა შუამდგომლობა, თუმცა არ დაკმაყოფილდა არც საქმის პროკურორის და, საჩივრის შემდგომ, არც ზემდგომი პროკურორის მიერ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირი ამ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, დაცვის მხა-

[96] იქვე, მუხლი 136 (1).
[97] იქვე, მუხლი 119 (1,3)
[98] საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია სუს-ს, 12 იანვარი 2026 წელი, N 25/254.
[99] სახალხო დამცველის რეკომენდაცია -ს, 12 იანვარი 2026 წელი, N 25/255.

რის პოზიციით, **გრიგოლ ლილუაშვილი** იყო, რომლის გამოკითხვის თაობაზეც იშუამდგომლა პროკურორის წინაშე. თუმცა, ბრალდების მხარემ არც ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

როდესაც გამოძიება არ ინტერესდება საქმისთვის საკვანძო მოწმეების გამოკითხვით, ჩნდება ეჭვები გამოძიების არასრულყოფილად და ცალმხრივად წარმართვასთან, ასევე, არაობიექტურობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

### 5.3. წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელება

ყურადსაღებია **ბრალდების მხარის მიერ წინასასამართლო სხდომის ვადის 57 დღით გაგრძელების მოთხოვნა.** ჩნდება კითხვა, თუ მანამდე არ ჰქონდათ მტკიცებულებები საკმარისად მოპოვებული, რატომ იჩქარეს ბრალის წარდგენა, მაშინ, როდესაც, მათივე ლოგიკით, ამ საქმის 6 წლის განმავლობაში გამოუძიებლობით არაფერი დაშავებულა.

დაცვის მხარის პოზიციით, ბრალდების მხარეს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე, რასაც თავიდან ბოლომდე პოლიტიკური მდგენელი გააჩნია, შეეძლო, მოეპოვებინა საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებები, თუ ასეთი ობიექტური მტკიცებულება საერთოდ არსებობდა. ამასთანავე, ბრალდების მხარეს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგაც თითქმის 2 თვე ჰქონდა ასეთი მტკიცებულებების მოსაპოვებლად, თუმცა, ამ დროში ეს ვერ მოახერხა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ბრალდების მხარემ სრულიად დაუსაბუთებლად მოითხოვა წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელება გაურკვეველი მტკიცებულებ(ებ)ის მოსაპოვებლად. ასევე, არ არის დასაბუთებული, ობიექტურად, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რატომ ვერ შეძლო ამ მტკიცებულებების მოპოვება მიმდინარე რამდენიმეთვიანი გამოძიების ფარგლებში. დაცვის მხარე სასამართლოს მიმართავს, ყურადღება გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანაში სტანდარტული საპოლიციო საგუშაგოს აგებიდან გასულია 6 წელზე მეტი და, სამართლებრივი კითხვების არსებობის შემთხვევაში, პროკურატურას შეეძლო, ეს წლები გამოძიებისთვის გამოეყენებინა. დაცვის მხარის პოზიციით, ნებისმიერი ობიექტური დამკვირვებელი ამ საქმის გაცნობის შემდეგ დაასკვნის, რომ ბრალდების მხარემ გიორგი გახარიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებით შეასრულა ბიძინა ივანიშვილის მიერ დაანონსებული პოლიტიკური შურისძიების შეკვეთა და ახლა ეძებს არარსებულ დანაშაულთან დაკავშირებით მტკიცებულებებს, რაც, ობიექტურად, არ არსებობს.

სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო დაცვის მხარის პოზიცია და ბრალდების მხარეს მაინც გაუხანგრძლივა გამოძიების ვადა.

## 6. პოლიტიკურად მოტივირებული სამართალწარმოება

### 6.1. პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულების ზოგადი განმარტება

მნიშვნელოვანია იმ სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა, რომელთა საფუძველზეც, შესაძლოა, სამართალწარმოება პოლიტიკურად მოტივირებულად შეფასდეს. პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულების ან პოლიტიკური პატიმრის საყოველთაოდ აღიარებული განმარტება არ არსებობს, თუმცა, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 1900-ე რეზოლუცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა იმ მახასიათებლების იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა, რომლებზე დაყრდნობითაც სამართალწარმოება, შესაძლოა, პოლიტიკურ დევნად იყოს მიჩნეული.

„პოლიტიკური პატიმრის“ დეფინიცია მოცემულია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 1900-ე რეზოლუციაში.[100] ეს დეფინიცია ფართოდაა აღიარებული და, თავის მხრივ, დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ წლების წინ შემუშავებულ განმარტებებს[101] ეყრდნობა. 2014 წელს **ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ** მხარი დაუჭირა აღნიშნული რეზოლუციის მიღებას.[102] ამ განმარტებას იყენებს თავის ანგარიშებში ასევე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური წარმომადგენელი პოლიტიკური პატიმრების საკითხზე.[103]

რეზოლუციის მიხედვით:

*„თავისუფლებააღკვეთილი პირი „პოლიტიკურ პატიმრად“ ჩაითვლება:*

*ა. თუ პირი დაკავეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და მისი ოქმით დაცული რომელიმე გარანტიის, განსაკუთრებით, აზრის სინდისისა და რელიგიის თავისუფლების, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების დარღვევით.*

*ბ. თუ პირი დაკავეს წმინდად პოლიტიკური მიზეზებით, რაიმე დარღვევასთან კავშირის გარეშე.*

*გ. თუ, პოლიტიკური მოტივების გამო, დაკავების ხანგრძლივობა და მისი პირობები, აშკარად, დარღვევის არაპროპორციულია, რომლის ჩადენაშიც პირი დამნაშავედ იყო ცნობილი ან რომლის ჩადენაშიც ბრალი ედება.*

*დ. თუ პირი დაკავებულია დისკრიმინაციულად, სხვა პირებთან შედარებით.*

*ე. თუ პატიმრობა არის შედეგი ისეთი სასამართლო პროცესისა, რომელიც იყო ცალსახად უსამართლო და ეს, როგორც ჩანს, დაკავშირებულია ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივთან.“*

---

[100] PACE, Resolution 1900 (2012), https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=19150, განახლებულია: 10.06.2026.

[101] იქვე.

[102] OSCE PA, BAKU DECLARATION, 2014, par. 113, www.oscepa.org/en/documents/annual-sessions/2014-baku/declaration-2/2540-2014-baku-declaration-eng/file, განახლებულია: 10.06.2026.

[103] ANNUAL REPORT OF THE OSCE PA SPECIAL REPRESENTATIVE ON POLITICAL PRISONERS CONGRESSMAN STEVE COHEN (USA), THE 30TH ANNUAL SESSION OF THE OSCE PA JUNE 30 – JULY 4, 2023, https://www.oscepa.org/en/documents/special-representatives/political-prisoners/4720-annual-report-of-the-osce-pa-special-representative-on-political-prisoners-congressman-steve-cohen-3-july-2023/file, განახლებულია: 10.06.2026; ANNUAL REPORT OF THE OSCE PA SPECIAL REPRESENTATIVE ON POLITICAL PRISONERS CONGRESSMAN STEVE COHEN (US), THE 31ST ANNUAL SESSION OF THE OSCE PA JUNE 29 – JULY 3, 2024, https://www.oscepa.org/en/documents/special-representatives/political-prisoners/5012-report-of-the-osce-pa-special-representative-on-political-prisoners-congressman-steve-cohen-29-june-2024/file, განახლებულია: 10.06.2026.

ამ განმარტებიდან ცალსახაა, რომ „პოლიტიკური პატიმარი“ და, შესაბამისად, „პოლიტიკური მართლმსაჯულება“ არ ვრცელდება მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც პირის დევნა, სამართალდარღვევასთან კავშირის გარეშე, წმინდად პოლიტიკური მიზნით, ან შეკრების, გამოხატვის ან სხვა ძირითადი უფლებით სარგებლობის გამო ხორციელდება. მართლმსაჯულება, შესაძლოა, პოლიტიკურად ჩაითვალოს მაშინაც, როდესაც პირის მიერ სავარაუდო სამართალდარღვევაა ჩადენილი, თუმცა, დევნის პოლიტიკური მოტივის გამო, პროცესი ან დაკისრებული სანქცია აშკარად უსამართლო, დისკრიმინაციული ან არაპროპორციულია.

ამ მსჯელობას ამყარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა კონვენციის მე-18 მუხლთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია და ევროპული სასამართლო „პოლიტიკური დევნის“ ან „პოლიტიკური პატიმრის“ განმარტებას არ იძლევა. კონვენციის მე-18 მუხლის მიხედვით, დაუშვებელია უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით ნებადართული შეზღუდვების გამოყენება, გარდა იმ მიზნისა, რომლისთვისაც ისინია გათვალისწინებული.

კონვენციის მე-18 მუხლს არ გააჩნია დამოუკიდებელი მოქმედება. ის გამოიყენება რომელიმე სხვა მუხლთან ერთობლიობაში. თუმცა, შესაძლოა, მე-18 მუხლის დარღვევა დადგინდეს კონკრეტულ მუხლთან მიმართებით იმ შემთხვევაშიც, თუ, ცალკე აღებული, ამ მუხლის დარღვევა არ დადგინდა.[104]

შესაძლებელია, შეზღუდვას საფუძვლად ედოს არა კონვენციით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზანი, არამედ ფარული მოტივი. შეიძლება შეზღუდვა მხოლოდ ფარულ მიზანს ემყარებოდეს ან გააჩნდეს, ერთდროულად, როგორც კონვენციასთან შესაბამისი, ისე ფარული მიზანი.[105]

როდესაც ამ კონტექსტში სასამართლო განიხილავს სისხლის სამართლის ბრალდებაში პოლიტიკური ან სხვა სახის მიზნის არსებობის საკითხს, იგი ყურადღებას აქცევს შემდეგ ფაქტორებს:

i. ფართო სამართლებრივი და პოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა განმცხადებლის წინააღმდეგ.[106]
ii. ამოძრავებდა თუ არა პროკურატურას და სასამართლო ხელისუფლებას ფარული მიზანი (ulterior motive).[107] განსაკუთრებით:
iii. ხელისუფლების წარმომადგენლების საჯარო განცხადებები, შესაძლოა, გარკვეულ შემთხვევებში, მიუთითებდეს ადამიანის მიზანმიმართულ დევნაზე.[108]
iv. გარკვეულმა პოლიტიკურმა კლიმატმა, შესაძლოა, შექმნას გარემო, რომელიც გავლენას ახდენს ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე განმცხადებელთან ან სხვა ადამიანებთან დაკავშირებით, რომლებიც იმავე ჯგუფს ან კატეგორიას მიეკუთვნებიან.[109]

---

[104] MERABISHVILI v. GEORGIA, 72508/13, 28 November 2017, par. 288. მე-18 მუხლის გამოყენების და განმარტების სტანდარტები შეჯამებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებაში მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (MERABISHVILI v. GEORGIA [GC]). ამ საქმემდე ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით, ზოგ შემთხვევაში, ურთიერთსაწინააღმდეგო იყო, რის გამოც, ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიიჩნია, რომ საჭირო იყო სტანდარტის უფრო მკაფიოდ გამოკვეთა და შეჯამება.
[105] იქვე, 292.
[106] იქვე, 322.
[107] BATIASHVILI v. GEORGIA, 8284/07, 10 October 2019, par. 102.
[108] MERABISHVILI v. GEORGIA, 72508/13, 28 November 2017, par. 324; ასევე MAMMADOV v. AZERBAIJAN, 15172/13, 22 May 2014, par 142.
[109] SELAHATTİN DEMİRTAŞ v. TURKEY (No. 2), 14305/17, 22 December 2020, par 434, 436.

v. არსებობს თუ არა მტკიცებულება, რომ სასამართლო არასაკმარისად დამოუკიდებელი იყო აღმასრულებელი ხელისუფლებისგან.[110]

vi. არის თუ არა განმცხადებლის წინააღმდეგ ბრალდება ნამდვილი და აღწევს თუ არა „გონივრული ეჭვის“ სტანდარტს კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის გაგებით.[111] როდესაც ბრალდება ემყარება ფაქტებს, რომლებიც, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, გონივრულად ვერ ჩაითვლება სისხლისსამართლებრივად დასჯადად, ეს განსაკუთრებით რელევანტურია კონვენციის მე-18 მუხლთან დაკავშირებით და, შესაძლოა, ამტკიცებდეს ფარული განზრახვის (ulterior motive) არსებობას.[112]

vii. იყო თუ არა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებები კარგად დასაბუთებული.[113]

viii. იყო თუ არა ბრალდებულის მიმართ გამოყენებული პრევენციული ზომები საკმარისად დაკავშირებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიზნებთან, ხოლო მათი ხანგრძლივობა – ადეკვატური.[114]

ერთი მხრივ, კონვენციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის არსებობა არ გამორიცხავს ფარული მიზნის არსებობას, ისევე, როგორც ლეგიტიმურ მიზანთან ერთად ფარული მიზნის არსებობა *a priori* არ გულისხმობს მე-18 მუხლის დარღვევას.[115] ფარული და კონვენციასთან შესაბამისი მიზნის ერთობლივად არსებობის შემთხვევაში, სასამართლო აფასებს, რომელი მიზანი იყო პრედომინანტური.[116]

მე-18 მუხლის დარღვევა იკვეთება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფარული მიზანი პრედომინანტური იყო.[117] იმის შეფასება, არის თუ არა მიზანი პრედომინანტური, დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე.[118] სასამართლო, შეფასებისას, ყურადღებას აქცევს სავარაუდო ფარული მიზნის ბუნებას და მისი გასაკიცხაობის ხარისხს, იმავდროულად, ითვალისწინებს, რომ კონვენცია შეიქმნა დემოკრატიული საზოგადოებისა და სამართლის უზენაესობის ღირებულებების დასაცავად.[119]

ევროპული სასამართლო შეზღუდული არ არის მხოლოდ პირდაპირი მტკიცებულებებით და შეიძლება განიხილოს არაპირდაპირი (circumstantial) მტკიცებულებებიც.[120] არაპირდაპირი (circumstantial) მტკიცებულებები, ამ შემთხვევაში, გულისხმობს ინფორმაციას ძირითადი ფაქტების შესახებ, კონტექსტური ფაქტებისა ან მოვლენების ჯაჭვს, რომელმაც, შესაძლოა, შექმნას ძირითადი ფაქტების შესახებ დასკვნების გაკეთების საფუძველი.[121] სასამართლო ხშირად ასევე მხედველობაში იღებს საერთაშორისო დამკვირვებლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის ანგარიშებს და განცხადებებს, ისევე, როგორც სხვა საერთაშორისო ან ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებს, რათა ნათელი მოჰფინოს ფაქტებს ან გადაამოწმოს სასამართლოს მიგნებები.[122]

---

[110] იქვე. იხილეთ ასევე MERABISHVILI v. GEORGIA, 72508/13, 28 November 2017, par. 324.
[111] ISMAYILOVA v. AZERBAIJAN (No. 2), 30778/15, 27 February 2020, par 111.
[112] KAVALA v. TURKEY, 28749/18, 10 December 2019, par. 220, 224.
[113] AZIZOV AND NOVRUZLU v. AZERBAIJAN, 65583/13, 70106/13, 18 February 2021, par. 78.
[114] NAVALNYY v. RUSSIA (No. 2), 43734/14, 9 April 2019, par. 95.
[115] MERABISHVILI v. GEORGIA, 72508/13, 28 November 2017, par, 303-305.
[116] იქვე, 308.
[117] იქვე, 305.
[118] იქვე, 307.
[119] იქვე, 307.
[120] იქვე, 316.
[121] იქვე, 317.
[122] იქვე.

**პრედომინანტურ ფარულ მიზანზე შეიძლება მიუთითებდეს კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ მიზანმიმართული დევნა.[123] შესაძლოა, ასევე ფარულ მიზანზე მიუთითებდეს კონკრეტული ჯგუფის დევნის ტენდენცია. მაგალითად, მთავრობის მიმართ კრიტიკულად განწყობილი პირების, აქტივისტების და უფლებადამცველების უსაფუძვლო დაკავება და სისხლის სამართლის მექანიზმების ბოროტად გამოყენება მათ მიმართ.[124]**

აღსანიშნავია, რომ, ერთი მხრივ, პირის სპეციალურის სტატუსი, მაგალითად, პოლიტიკოსის მიმართ სისხლის სამართლის დევნა, ავტომატურად არ მიუთითებს ფარული მიზნის არსებობაზე,[125] ისევე, როგორც პოლიტიკური სტატუსის არარსებობა არ გამორიცხავს სისხლისსამართლებრივი დევნის უკან მდგარ ფარულ მოტივს.[126]

### 6.2. პოლიტიკური მართლმსაჯულების აქტუალურობა ადამიანის უფლებათა კრიზისში

2024 წლიდან საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა სწრაფი გაუარესებით ხასიათდება. ხელისუფლების ქმედებები და მიღებული კანონმდებლობა ავტორიტარული ძალაუფლების კონსოლიდაციის, განსხვავებული აზრის მქონეთა დასჯისა და დაშინებისკენ არის მიმართული (იხილეთ ქვეთავი 2.1.).

ხაზგასასმელია, რომ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ამ რეპრესიების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია. 2025 წლის ოქტომბერში საიამ გამოაქვეყნა 2024-2025 წლებში აქციების კონტექსტში დაკავებული პირების პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკვირვების შედეგები.[127] დოკუმენტი შეეხება აქციების კონტექსტში დაკავებული/დაპატიმრებული 69 პირის სისხლის სამართლის საქმეებს, რომელთაგანაც 10 პირს ბრალი ედებოდა 2024 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციებთან, ხოლო 59 ადამიანს - 2024-2025 წლების ნოემბერ-თებერვლის აქციებთან/განგრძობად პროტესტთან მიმართებით. საიას შეფასებით, „ზემოხსენებული საქმეები პოლიტიკურად მოტივირებულია და სამართალწარმოების პრედომინანტური მიზანი განსხვავებულ აზრზე ანგარიშსწორებაა“.[128]

2025 წელს, სხვადასხვა საქმესთან დაკავშირებით, საქართველოში პოლიტიკურ მართლმსაჯულებასა და პოლიტიკური პატიმრების არსებობაზე მიუთითებს, მათ შორის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა,[129] ევროპული პარლამენტი,[130] ევრო-

---

[123] მაგალითად, საქმეზე ნავალნი რუსეთის წინააღმდეგ (Navalnyy v. Russia [GC]), რომელიც ნავალნის დაკავების 7 ეპიზოდს მოიცავდა მოვლენების თანმიმდევრობისა და ქცევის მოდელების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის, როგორც ოპოზიციონერი პოლიტიკოსის, მიზანში ამოღება გავლენას ახდენდა არა მხოლოდ მასზე ან მის მხარდამჭერებზე, არამედ დემოკრატიის არსზეც და „მნიშვნელოვანი სიმძიმის“ ფარულ მიზანს წარმოადგენდა. NAVALNYY v. RUSSIA, 29580/12, 15 November 2018, par. 173-176.

[124] AZIZOV AND NOVRUZLU v. AZERBAIJAN, 65583/13, 18 February 2021, par. 76.

[125] SELAHATTİN DEMİRTAŞ v. TURKEY (No. 2), 14305/17, 22 December 2020, par 424.

[126] MAMMADLI v. AZERBAIJAN, 47145/14, 19 April 2018, par. 103.

[127] საია, 2024-2025 წლებში აქციების კონტექსტში დაკავებული პირების პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკვირვების შედეგები, 2025 https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/2024-2025%20wlebSi%20politikurad%20motivirebuli%20saqmeebi_geo.pdf, განახლებულია: 10.06.2026.

[128] იქვე, 51.

[129] PACE Resolution 2585 (2025), https://pace.coe.int/en/files/34147/html, განახლებულია: 10.06.2026.

[130] European Parliament resolution of 13 February 2025 on the further deterioration of the political situation in Georgia (2025/2522(RSP)), https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-10-2025-0019_EN.html,

კავშირის პრეს-სპიკერი,[131] ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა,[132] ამნესთი ინთერნეიშენალი.[133]

ეუთოს ადამიანური განზომილების მექანიზმის (მოსკოვის მექანიზმის)[134] ანგარიში, რომელიც 2026 წლის 12 აპრილს გამოქვეყნდა, მოუწოდებს სახელმწიფოს, დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაათავისუფლოს პოლიტიკური მიზეზებით დაკავებული ყველა პირი და თავი შეიკავოს მომავალში პოლიტიკური მოტივით მათი დაკავებისგან.[135]

გარდა ამისა, უკვე წლებია, საქართველოში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, რაზეც მიუთითებს რო-

---

განახლებულია: 10.06.2026; European Parliament resolution of 9 July 2025 on the 2023 and 2024 Commission reports on Georgia (2025/2024(INI)), https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-10-2025-0158_EN.html, განახლებულია: 10.06.2026.

[131] საქართველო: ევროკავშირის პრეს-სპიკერის განცხადება ჟურნალისტ მზია ამაღლობელის მიმართ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, https://www.eeas.europa.eu/eeas/georgia-statement-spokesperson-sentencing-journalist-mzia-amaglobeli_en?page_lang=ka, განახლებულია: 10.06.2026.

[132] PORTO DECLARATION AND RESOLUTIONS ADOPTED BY THE OSCE PARLIAMENTARY ASSEMBLY AT THE THIRTY-SECOND ANNUAL SESSION PORTO, 29 JUNE – 3 JULY 2025, https://www.oscepa.org/en/documents/annual-sessions/2025-porto/declaration-31/5313-porto-declaration-eng/file, განახლებულია: 10.06.2026.

[133] Amnesty International, Georgia: Justice for Journalist Mzia Amaghlobeli, 14.04.2025, https://www.amnesty.org/en/documents/eur56/9262/2025/en/, განახლებულია: 10.06.2026; Amnesty International, Georgia: Crackdown on government critics deepens as another opposition politician is jailed, 27.06.2025, https://www.amnesty.org/en/latest/news/2025/06/georgia-crackdown-on-government-critics-deepens-as-another-opposition-politician-is-jailed/, განახლებულია: 10.06.2026; Amnesty International, Georgia: Actor protester jailed, denied justice: Andro Chichinadze, https://www.amnesty.org/en/documents/eur56/0222/2025/en/, განახლებულია: 10.06.2026.

[134] „მოსკოვის მექანიზმი" (ეუთოს ადამიანური განზომილების მექანიზმი) საშუალებას იძლევა, ეუთოს წევრ სახელმწიფოში ჩატარდეს ფაქტების დამდგენი მისია დამოუკიდებელი ექსპერტ(ებ)ის (მომხსენებლ(ებ)ის) მიერ. მოსკოვის მექანიზმის გააქტიურება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ერთი სახელმწიფო, მინიმუმ ცხრა სხვა სახელმწიფოს მხარდაჭერით, მიიჩნევს, რომ ეუთოს წევრ კონკრეტულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების კუთხით განსაკუთრებით სერიოზული საფრთხე წარმოიშვა. საქართველოსთან დაკავშირებით მოსკოვის მექანიზმი 2026 წლის 29 იანვარს ეუთოს 23-მა წევრმა სახელმწიფომ აამოქმედა. 2026 წლის 12 მარტს ეუთოს მოსკოვის მექანიზმის უკიდურესად კრიტიკული ანგარიში გამოქვეყნდა, რომელიც საქართველოში 2024 წლის გაზაფხულიდან 2026 წლის დასაწყისამდე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კუთხით არსებულ ვითარებას შეეხება. მოსკოვის მექანიზმის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები სახელმწიფოებისთვის შესასრულებლად სავალდებულო არ არის, თუმცა ისინი მაღალი რეპუტაციით სარგებლობს და ეუთოს წევრ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ გამოწვევებზე თავიანთი რეაქცია ფაქტებსა და ექსპერტულ შეფასებებზე დააფუძნონ. საიას შეფასება 2026 წლის 12 აპრილს გამოქვეყნებულ ანგარიშთან დაკავშირებით იხილეთ ბმულზე: https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%90.pdf, განახლებულია: 10.06.2026.

[135] OSCE fact-finding mission on Georgia (2026) under paragraph 12 of the Moscow Mechanism Document, Report on developments in Georgia in respect of human rights and fundamental freedoms since Spring 2024, pg. 7, https://odihr.osce.org/odihr/662725, განახლებულია: 10.06.2026.

გორც ეროვნული,[136] ისე საერთაშორისო[137] შეფასებები. ამასთანავე, 2025 წელს დაჩქარებული წესით მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა სასამართლოს შიდა კორპორატივიზმისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ნაკლებობის პრობლემებთან დაკავშირებული მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა.[138]

**პრობლემურია, ასევე, საქართველოს პროკურატურის სისტემის დამოუკიდებლობის საკითხი. 2025 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა საქმეზე *„მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“* ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობის ფარგლებში აღნიშნა, რომ გენერალური პროკურორისა და ინდივიდუალური პროკურორების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით აქამდე გატარებული ღონისძიებები არასაკმარისია და შეშფოთება გამოთქვა ამ მიმართულებით პროგრესის ნაკლებობასთან დაკავშირებით.[139]**

### 6.3. საქართველოში პოლიტიკური პლურალიზმის შეზღუდვის ზოგადი კონტექსტი

ავტორიტარული რეპრესიების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე პოლიტიკური პლურალიზმია, რომლის წინააღმდეგ მიმართული ზომები როგორც საკანონმდებლო ცვლილებებს და საკონსტიტუციო სამართალწარმოებას, ისე ინდივიდუალური პოლიტიკური ლიდერების დევნას მოიცავს.

პოლიტიკური პლურალიზმის წინააღმდეგ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, მათ შორის, მოიცავს 2025 წლის 13 მაისს შეტანილ ცვლილებებს მოქალაქეთა „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში.[140] ამის შედეგად, პოლიტიკური პარტიის აკრძალვის ნორმა გავრცელდა ისეთ პარტიებზე, რომლებიც „არსე-

---

[136] მაგალითად, იხილეთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების 2024 წლის ანგარიში „9 ნაბიჯი ევროკავშირისკენ, შესრულების მდგომარეობა“, გვ. 34-42, https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/1142024.pdf_01722589653.pdf, განახლებულია: 10.06.2026; ასევე, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, მართლმსაჯულების რეფორმების 10 წელი: გამოწვევები და პერსპექტივები, 2023, http://coalition.ge/files/reporma_170x240_geo_3.pdf, განახლებულია: 10.06.2026.

[137] მაგალითად, ევროპული კომისიის 2025 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა არაადეკვატურია როგორც პირველი ინსტანციის, ისე უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოებში. ევროპული კომისია ხაზს უსვამს, რომ საჭიროა სასამართლო სისტემის სიღრმისეული და ყოვლისმომცველი რეფორმა, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად. European Commission, Georgia 2025 Report, Communication on EU enlargement policy, SWD(2025) 757 final, გვ. 28, https://enlargement.ec.europa.eu/document/download/b3089ad4-26be-4c6a-84cc-b9d680fe0a48_en?filename=georgia-report-2025.pdf, განახლებულია: 10.06.2026; სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ასევე იხილეთ freedom Houses-ის ანგარიშები საქართველოს შესახებ: https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2026, განახლებულია: 10.06.2026.

[138] საია, 2025 წლის ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში, 2025, https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/saerto-sasamart_geo11.pdf, განახლებულია: 10.06.2026.

[139] 1521st meeting (4-6 March 2025) (DH) - H46-13 Merabishvili v. Georgia (Application No. 72508/13), CM/Del/Dec(2025)1521/H46-13, განახლებულია: 10.06.2026.

[140] საია, პერსონიფიცირებული კანონშემოქმედება საქართველოში, როგორც უფლების არამართლზომიერად შეზღუდვის საშუალება, 2024 წლიდან მიღებული შემზღუდველი საკანონმდებლო ცვლილებების მიმოხილვა, 2026, https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%20_.pdf, განახლებულია: 10.06.2026.

ბითად იმეორებენ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე აკრძალული პარტიის გაცხადებულ მიზანს ან/და საქმიანობის არსს. პარტიის „საქმიანობის არსში“ იგულისხმება ასევე პარტიის პერსონალური კონტინგენტი, მათ შორის, საარჩევნო კომისიაში წარმოდგენილი პარტიული სიის შემადგენლობა. ცვლილებებამდე მოქმედი რედაქციით, პარტიის აკრძალვა საკონსტიტუციო სასამართლოს შეეძლო იმ შემთხვევაში, თუ პარტიის მიზანი იყო საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან, თუ ის ეწეოდა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებდა ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნიდა ან შექმნილი ჰქონდა შეიარაღებული ფორმირება.[141] 2025 წლის 16 ოქტომბერს ამავე კანონში დაჩქარებული წესით დამტკიცებული ცვლილებებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აკრძალულ პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებულ პირებს აეკრძალათ პარტიული საქმიანობა.[142] ბუნდოვანია პარტიასთან დაკავშირებული პირის ცნება, რაც ტოვებს ინტერპრეტაციის ფართო არეალს და ქმნის მისი ბოროტად გამოყენების რისკს, რომ ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების აქტივობა სასამართლოს მეშვეობით მარტივად შეიზღუდოს პარტიასთან „დაკავშირებული პირის“ სტატუსით.[143]

3 სექტემბერს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნას[144] და, ამ დასკვნის საფუძველზე, ოპოზიციური პარტიების აკრძალვის მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვაც დაანონსდა[145] (ვრცლად დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის, საქმიანობისა და შედეგების შესახებ, იხილეთ ქვეთავში 2.2.). 2025 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის 88 წევრმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა პარტიების: „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“, „კოალიცია ცვლილებისთვის - გვარამია, მელია, გირჩი, დროა“, „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ აკრძალვის მოთხოვნით.[146] 2026 წლის 21 აპრილს პარლამენტის წევრებმა საკონსტიტუციო სასამართლოს განახლებული სარჩელით მიმართეს, რომელშიც პარტიების ჩამონათვალს „ფედერალისტური პარტია“ დაემატა.[147]

2026 წლის 12 აპრილს საქართველოსთან დაკავშირებით მომზადებულ ანგარიშში ეუთოს ადამიანური განზომილების მექანიზმმა (მოსკოვის მექანიზმი) მოუწოდა სახელმწიფოს, თავი შეიკავოს საკონსტიტუციო სასამართლოში პარტიების აკრძალვის და-

[141] იქვე.
[142] იქვე.
[143] იქვე.
[144] „საკანონმდებლო ორგანომ პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შედეგების შესახებ დადგენილება მიიღო“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 6 სექტემბერი, https://www.parliament.ge/media/news/sakanonmdeblo-organom-parlamentis-droebiti-sagamodziebokomisiis-sakmianobis-shedegebis-shesakheb-dadgenileba-miigho, განახლებულია: 10.06.2026.
[145] შალვა პაპუაშვილმა განაცხადა: „დღეს ვიწყებთ დაპირების სამართლებრივი ნაწილის შესრულებას». რა წერია სარჩელში, რომლითაც „ქართული ოცნება“ 3 პარტიას აკრძალვას უპირებს, https://formulanews.ge/News/129769, განახლებულია: 10.06.2026.
[146] საქართველოს პარლამენტის წევრების (სულ 88 წევრის) კონსტიტუციური სარჩელი პოლიტიკური პარტიების („ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“, „კოალიცია ცვლილებისთვის - გვარამია, მელია, გირჩი, დროა“, „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“) საქმიანობის კონსტიტუციურობისა და აკრძალვის საკითხზე, N1912, https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=18680, განახლებულია: 10.06.2026.
[147] საქართველოს პარლამენტის წევრების (სულ 89 წევრის) კონსტიტუციური სარჩელი პოლიტიკური პარტიების („ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“, „კოალიცია ცვლილებისთვის - გვარამია, მელია, გირჩი, დროა“, „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“, „ფედერალისტური პარტია“) საქმიანობის კონსტიტუციურობისა და აკრძალვის საკითხზე, N1958, https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=19601, განახლებულია: 10.06.2026.

უსაბუთებელი პროცედურების დაწყებისგან და წარდგენილი სარჩელი გამოიხმოს.[148] საყურადღებოა, რომ მოსკოვის მექანიზმის ანგარიშში მზარდ პრობლემად არის შეფასებული ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების განადგურების გზით პოლიტიკური პლურალიზმის სისტემური ნგრევა.[149]

გარდა პოლიტიკური პარტიების აკრძალვასთან დაკავშირებით მიმდინარე სამართალწარმოებისა, პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ მიღებული ზომები მათ ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ დევნასაც მოიცავს.

2025 წელს, საპარლამენტო კომისიაზე გამოუცხადებლობის გამო, 8 პოლიტიკოსთან დაკავშირებით დაიწყო დევნა სისხლის სამართლის კოდექსის 349-ე მუხლით („საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობა“).[150] მათ, ძირითადად, 8-თვიანი თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ და 2 წლით აეკრძალათ საჯარო თანამდებობის დაკავება.[151] საიას შეფასებით, იმავე ქმედებისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის პარალელურად არსებობის პირობებში (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173[3]-ე მუხლი „საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობა“), გაუმართლებელი იყო კომისიაზე გამოუცხადებლობისთვის სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენება.[152] ევროპულმა პარლამენტმა ასევე მკაცრად დაგმო პოლიტიკური ლიდერების დაპატიმრება და აღნიშნა, რომ მათ პოლიტიკურ პატიმრებად მიიჩნევს.[153] მათი გათავისუფლებისკენ მოუწოდა სახელმწიფოს ამნესტი ინთერნეიშენალმაც.[154] ოპოზიციონერთათვის თავისუფლების აღკვეთა „ოპოზიციური ლიდერების პოლიტიკურად მოტივირებულ დაკავებებად და დაპატიმრებებად“ შეაფასეს ერთობლივ განცხადებაში 20 ევროპული ქვეყნის[155] საგარეო საქმეთა მინისტრებმა და ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა.[156]

---

[148] OSCE fact-finding mission on Georgia (2026) under paragraph 12 of the Moscow Mechanism Document, Report on developments in Georgia in respect of human rights and fundamental freedoms since Spring 2024, pg. 6, https://odihr.osce.org/odihr/662725, განახლებულია: 10.06.2026.

[149] იქვე, პარ. 298.

[150] Amnesty International, Georgia: Crackdown on government critics deepens as another opposition politician is jailed, 27.06.2025, https://www.amnesty.org/en/latest/news/2025/06/georgia-crackdown-on-government-critics-deepens-as-another-opposition-politician-is-jailed/, განახლებულია: 10.06.2026.

[151] იქვე.

[152] საია ეხმიანება „ქართული ოცნების“ საგამოძიებო კომისიის ლეგიტიმურობის საკითხსა და კომისიაზე დაბარებასთან დაკავშირებით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებს, 21.05.2025, https://gyla.ge/post/sagamodziebo-komisia-GYLA?fbclid=IwY2xjawKaqoZleHRuA2FlbQIxMABicmlkETF6Y0xWdUJRSjhhNlhucVlmAR72D4CPshGlg54tXjmXylugoBF0lM8zwHoEDL3vaH7AD9gQXPgJNk2n14NSXQ_aem__bc8hxbzlPhtsWFzwbiMA, განახლებულია: 10.06.2026.

[153] European Parliament resolution of 9 July 2025 on the 2023 and 2024 Commission reports on Georgia (2025/2024(INI)), par. 10, https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-10-2025-0158_EN.html, განახლებულია: 10.06.2026.

[154] Amnesty International, Georgia: Crackdown on government critics deepens as another opposition politician is jailed, 27.06.2025, https://www.amnesty.org/en/latest/news/2025/06/georgia-crackdown-on-government-critics-deepens-as-another-opposition-politician-is-jailed/, განახლებულია: 10.06.2026.

[155] ალბანეთი, ავსტრია, ბელგია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, კანადა, ხორვატია, ჩეხეთი, კვიპროსი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მონტენეგრო, მალტა, მოლდოვა, ნიდერლანდები, ჩრდილოეთ მაკედონია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო, ლიეტუვა.

[156] იხ. The human rights situation in Georgia: Joint Statement to the OSCE, September 2025, https://www.gov.uk/government/speeches/the-human-rights-situation-in-georgia-joint-statement-to-the-osce-september-2025, განახლებულია: 10.06.2026.

გარდა საპარლამენტო კომისიასთან დაკავშირებული ბრალდებისა, პროკურატურამ ახალი ბრალი წარუდგინა რვა პოლიტიკოსს. გენერალური პროკურორის 2025 წლის 6 ნოემბრის განცხადებით, საქართველოს პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ერთობლივად ჩატარებული გამოძიების შედეგად, სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების, კონკრეტულად კი, საბოტაჟის, უცხო ქვეყნისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარების, საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და ეროვნული უშიშროების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის დაფინანსების, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისა და სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდების ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მიხეილ სააკაშვილის, გიორგი ვაშაძის, ნიკა გვარამიას, ნიკანორ მელიას, ზურაბ გირჩი ჯაფარიძის, ელენე ხოშტარიას, მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძის მიმართ.[157]

თავისუფლება აქვს აღკვეთილი პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილსაც.[158]

ამასთანავე, 2026 წლის 24 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ ელენე ხოშტარიას 1 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა საარჩევნო ბანერზე გაკეთებული წარწერის გამო, სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც გულისხმობს სხვისი ნივთის დაზიანებას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. „ამნესთი ინთერნეიშენალის“ შეფასებით, ელენე ხოშტარიას სასჯელი პოლიტიკურად არის მოტივირებული და, როგორც ჩანს, სასჯელის სიმკაცრე დაკავშირებულია არა ქმედების შედეგად გამოწვეულ ზიანთან, არამედ მის პოლიტიკურ მოსაზრებებსა და მმართველი პარტიის მიერ განცდილ სიმბოლურ ზიანთან.[159]

საყურადღებოა, რომ ეს საქმეები, ძირითადად, იმავე პირებს ეხება (მიხეილ სააკაშვილისა და ელენე ხოშტარიას გარდა), რომლებსაც იქამდე ბრალი წაუყენეს პარლამენტის კომისიის სხდომებზე გამოუცხადებლობისთვის. შესაბამისი სასჯელის მოხდის შემდეგ, ისინი კვლავ გახდნენ პროკურატურის მიერ წამოწყებული ახალი სისხლის სამართლის საქმის ობიექტები. ეს ტენდენცია მიუთითებს პოლიტიკურად აქტიური პირების მიზანმიმართულ დევნაზე თანმიმდევრული სისხლის სამართლის ბრალდებების გზით. ეუთოს მოსკოვის მექანიზმის ანგარიში მოიცავს სახელმწიფოს მიმართ მოწოდებას, თავი შეიკავოს დაუსაბუთებელი ბრალდებებისგან პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერების მიმართ, განსაკუთრებით, სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე (ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა) 318-ე (საბოტაჟი) და 319-ე (უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარება) მუხლების საფუძველზე.[160]

---

[157] საქართველოს პროკურატურის განცხადება, 06.11.2025, https://pog.gov.ge/news/sabotazhis-utskho-qveknisatvis-mtrul-saqmianobashi-dakhmarebis-saqartvelos-konstitutsiuri-tskobilebisa-da-erovnuli-ushishroebis-safudzvlebis-tsinaaghmdeg-mimartuli-saqmianobis-dafinansebis-da-saqartvelos-konstitutsiuri-tskobilebis-dzaladobit-shetsvlisaken-sakhelmtsifo-khelisuflebis-damkhobisaken-motsodebis-faqtebze-siskhlissamartlebrivi-devna-daitsko-mikheil-saakashvilis-giorgi-vashadzis-nika-gvaramias-nikanor-melias-zurab-girchi-jafaridzis-elene-khoshtarias-mamuka-khazaradzis-da-badri-jafaridzi, განახლებულია: 10.06.2026.

[158] „ტაბულა“, ხაბეიშვილს 2 წლითა და 6 თვით პატიმრობა შეეფარდა, ზოდელავას კი – 9 თვით, 21.05.2026, https://tabula.ge/ge/news/748535-khabeishvils-2-clita-6-tvit-patimroba-sheeparda, განახლებულია: 10.06.2026.

[159] Amnesty International, Georgia: Opposition politician Elene Khoshtaria given politically motivated prison sentence for graffiti, 24.03.2026, https://www.amnesty.org/en/latest/news/2026/03/georgia-opposition-politician-elene-khoshtaria-given-politically-motivated-prison-sentence-for-graffiti/, განახლებულია: 10.06.2026.

[160] OSCE fact-finding mission on Georgia (2026) under paragraph 12 of the Moscow Mechanism Document, Report on developments in Georgia in respect of human rights and fundamental freedoms since Spring 2024, pg. 6, https://odihr.osce.org/odihr/662725, განახლებულია: 10.06.2026.

### 6.4. პოლიტიკური დევნის ნიშნები გიორგი გახარიასთან მიმართებით

საქმეში, **სამართლებრივად,** არსებობს არაერთი პასუხგაუცემელი კითხვა: რატომ დაიწყო გამოძიება და რატომ მოხდა გიორგი გახარიას სისხლისსამართლებრივი დევნა 2019 წლის ფაქტთან დაკავშირებით 2025 წელს, 6-წლიანი დაგვიანებით; რატომ მანამდე არ მიმართა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს რომელიმე წევრმა გამოძიებას, თუკი ფიქრობდნენ, რომ გიორგი გახარიას ქმედებები, რომლებიც უკავშირდებოდა სოფელ ჩორჩანაში სტანდარტული საპოლიციო საგუშაგოს აღმართვას, შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს; რატომ არ მოითხოვეს ამ საკითხის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ფორმატში განხილვა.

ასევე, სუს-ის იმდროინდელი ხელმძღვანელის, ვახტანგ გომელაურის ჩვენების მიხედვით, სუს-ისთვის შემთხვევით გახდა ცნობილი, რომ სოფელ ჩორჩანაში შსს საპოლიციო საგუშაგოს აღმართვის სამუშაოებს აწარმოებდა: *„გავიგეთ უკვე მას შემდეგ, რაც სამუშაოები დაწყებული იყო. ამის შემდგომ მე ვესაუბრე გახარიას და პასუხი იყო, რომ რუსები აპირებდნენ თავიანთი საგუშაგოების გადმოწევას, ხეებზე აკეთებდნენ მონიშვნებს, ჩვენ დავასწარით მათ და წინ ვუდგამთ საგუშაგოსო. ჩემი სამსახურის პოზიცია იყო, რომ ასე არ უნდა მომხდარიყო, ამას, შესაძლოა, გამოეწვია სიტუაციის დაძაბვა. ამან მოგვიანებით გამოიწვია მართლაც საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან საგუშაგოების აღმართვა და კიდევ დამატებით ჰექტრობით ტერიტორიის დაკარგვა. გარდა ამისა, შეიქმნა სამხედრო ესკალაციის საშიშროება. საოკუპაციო ძალის მხრიდან შეინიშნებოდა სამხედრო ტექნიკის გადაადგილებაც. ამ საგუშაგოს აღება მოითხოვეს, საპასუხოდ კი იმუქრებოდნენ. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მორიგ შეხვედრაზე, რომელიც საგუშაგოს აღმართვიდან მალევე, 2019 წლის აგვისტოში გაიმართა, საოკუპაციო რეჟიმი კატეგორიულად ითხოვდა მის აღებას. გახარია დარჩა მის პირვანდელ პოზიციაზე, რამაც გამოიწვია შემდგომში ის, რომ ოსებმა ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე, სოფელ წნელისთან, მოაწყვეს დამატებითი საგუშაგოები და საოკუპაციო ხაზი გადმოწიეს ჩვენს სიღრმეში.*

*რეალურად, უნდა მომხდარიყო მოძრავი პატრულირების გახშირება, პარტნიორი ორგანიზაციების ინფორმირება, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ჩართულობით, მთავრობის მეთაურთან შეთანხმებით და უსაფრთხოების სამსახურთან კოორდინირებით ამის გადაწყვეტა.“*

თავად ბრალდების მხარე ბრალდების დადგენილებაში აღნიშნავს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში 2015 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი სახელმწიფო უსაფრთხოების სფერო გადაეცა ახლად შექმნილ დამოუკიდებელ უწყებას - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს. ამასთანავე, 2015 წლის 21 დეკემბერს ტექნიკური ხასიათის ცვლილება შევიდა 2008 წლის 10 ოქტომბრის შეთანხმებაში და ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ უსაფრთხოების პოლიტიკის განმსაზღვრელ მთავარ უწყებად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ჩამოყალიბდა. უსაფრთხოების სამსახური, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, მის ხელთ არსებული ყველა მექანიზმის გამოყენებით, სხვა პასუხისმგებელ უწყებებთან ერთად, ახორციელებდა ადგილზე უსაფრთხოების ღონისძიებების კოორდინაციას. გარდა ამისა, 2015 წლის 1-ლი აგვისტოდან უსაფრთხოების სამსახური წამყვანი უწყება გახდა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფორმატის შეხვედრებში.

**ამიტომ, წარმოუდგენელია, როგორ არ უნდა სცოდნოდა ამ დონის და მნიშვნელობის უწყებას (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს) დროულად საგუშაგოს აღ-**

**მართვის თაობაზე და როგორ არ უნდა მიეღო ეფექტიანი ზომები, თუ ეს სახელმწიფოს ინტერესებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის რისკების შემცველად მიაჩნდა.**

**მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ გიორგი გახარია ამ მოვლენების შემდგომ, 2019 წლის 8 სექტემბრიდან 2021 წლის 18 თებერვლამდე, პრემიერ-მინისტრის თანამდებობას იკავებდა. ის დაწინაურდა „ქართული ოცნების" ხელისუფლების პირობებში, ხოლო მის მიერ ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრობამდე განხორციელებული ქმედებებით საგამოძიებო ორგანოები მხოლოდ მმართველი გუნდიდან მისი წასვლისა და ოპოზიციური პოლიტიკური აქტიურობის შემდეგ დაინტერესდნენ. ეს დამატებით ამყარებს ეჭვს მის მიმართ პოლიტიკური დევნის თაობაზე. ამასთანავე, თუ გიორგი გახარიას ბრალეულობა დადასტურდება, ამით იკვეთება მოქმედი ხელისუფლების როგორც პოლიტიკური, ასევე სამართლებრივი პასუხისმგებლობაც.**

ჩორჩანასთან დამატებითი საპოლიციო საგუშაგო განთავსდა საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, შესაბამისად, თავისთავად, ეს ვერ შეფასდება, როგორც ქმედება, რომელმაც საოკუპაციო რეჟიმის პროვოცირება გამოიწვია. ის ფაქტი, რომ ამ საგუშაგოს აღმართვის შემდეგ საოკუპაციო ძალებმა გააგრძელეს მცოცავი ოკუპაციის პოლიტიკა, მოახდინეს საქართველოს ტერიტორიის ნაწილის დამატებითი ოკუპაცია და განათავსეს ახალი საგუშაგოები, არ ქმნის საკმარის საფუძველს იმის მტკიცებისთვის, თითქოს სწორედ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ქმედება გახდა საოკუპაციო რეჟიმის შემდგომი ნაბიჯების გამომწვევი მიზეზი. მით უფრო მაშინ, როდესაც არაერთი გარემოება და მტკიცებულება მიუთითებდა, რომ ჩორჩანას ტყის მიმართულებით საოკუპაციო ძალებს ტერიტორიის გარკვეული ნაწილის ოკუპაციის წინასწარი განზრახვა უკვე გააჩნდათ.

როგორც ბრალის ფორმულირებაში, ისე იმდროინდელი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის, ვახტანგ გომელაურის გამოკითხვისას მიწოდებულ ინფორმაციაში საუბარია ადგილზე ვითარების დაძაბვაზე. ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეძლო ვითარების კონტროლი და შესაძლო ესკალაციის თავიდან აცილება. ადგილზე არ მომხდარა შეიარაღებული დაპირისპირება, რაც დღევანდელი გადასახედიდან აჩენს ვარაუდის საფუძველს, რომ იმ პერიოდში ვითარების ესკალაციასთან დაკავშირებული შიშები მეტწილად ჰიპოთეტური და აბსტრაქტული ხასიათის იყო.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ გიორგი გახარიას მიმართ წარდგენილი ბრალდების ფორმულირება ფორმალურად უფლებამოსილების შესაძლო გადამეტებისა და პროცედურული დარღვევების ფარგლებს არ სცდება, თუმცა მთლიან სისხლის სამართლის საქმეს თან სდევს სახელმწიფო ინტერესების დაზიანების მკაფიო ნარატივი. მიუხედავად ამისა, პროკურატურა, პრაქტიკულად, შემოიფარგლა მხოლოდ ქმედების ტექნიკური და პროცედურული ასპექტების შეფასებით და არ უცდია იმის დადგენა, რა მიზანი შეიძლებოდა ჰქონოდა გიორგი გახარიას ამ გადაწყვეტილების მიღებისას და იყო თუ არა ეს მიზანი სახელმწიფო ინტერესის დამაზიანებელი.

**ეს გარემოება კიდევ უფრო აღრმავებს კითხვებს სისხლისსამართლებრივი დევნის რეალურ მოტივთან დაკავშირებით, რადგან, ერთი მხრივ, საქმის შეფასებისას მუდმივად ხდება აპელირება სახელმწიფო ინტერესებისთვის მიყენებულ შესაძლო ზიანზე, ხოლო, მეორე მხრივ, გამოძიება თავს არიდებს იმ სუბიექტური ელემენტების სრულყოფილ კვლევას, რომლებსაც მსგავსი კატეგორიის საქმეებში არსებითი მნიშვნელობა აქვს.**

ეს საქმე საყურადღებოა ხანგრძლივი გამოძიების ეფექტიანობის შეფასების თვალსაზრისითაც. ძნელი წარმოსადგენია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ, ბრალდებებში აღწერილი სიმძიმის ქმედების ჩადენის შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანოს რეაგირებისთვის ექვსი წელი დასჭირდა.

ცალკე განმარტებასა და შეფასებას მოითხოვს სავარაუდო დანაშაულის სამართლებრივი კლასიფიკაცია, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, პოლიციის დამატებითი საკონტროლო პუნქტის აღმართვის გადაწყვეტილება რატომ არის საზოგადოებისა და სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესების დარღვევა.

უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი გახარია ბრალდებულია სხვა საქმის ფარგლებშიც: 2025 წლის 12 ნოემბერს მას ბრალი წაუყენეს ორზე მეტი პირისთვის ჯანმრთელობისთვის განზრახ მძიმე ზიანის მიყენების ორგანიზებასა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით.

როგორც საჯაროდ არის ცნობილი, 20-21 ივნისის მოვლენებზე გამოძიება, წლებია, მიმდინარეობდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმის ეფექტიან გამოძიებას, ამ წლების განმავლობაში, აქტიურად მოითხოვდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. სწორედ საიას მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმეთა წარმოების შედეგად, 2025 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ, სხვა დარღვევებთან ერთად, მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) პროცედურული ნაწილის დარღვევა დაადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ვალდებულება არ შეასრულა.[161] ამიტომ, მნიშვნელოვანია იმის გაგება, რა ახალი გარემოებები აღმოაჩინა საგამოძიებო ორგანომ ინციდენტიდან ექვსი წლის შემდეგ, რომლებიც, შესაძლოა, საფუძვლად დაედო გიორგი გახარიას წინააღმდეგ ბრალდების წაყენებას და, თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, რატომ არ შეიძლებოდა მისი ადრე იდენტიფიცირება.

2019 წლის 19-20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხისმგებლობის დაყენება მნიშვნელოვანია. თუმცა, მაშინ, როდესაც 2019 წლის ივნისის მოვლენები, თავისი ინტენსივობით და მასშტაბურობით, შეიძლება მიუთითებდეს შსს-ს არაერთი წარმომადგენლის, მათ შორის, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მეთაურთა დანაშაულებრივ ქმედებებზე, გიორგი გახარიასთვის ბრალის წაყენება, სხვა პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირების, მათი ქმედებების ადეკვატური სამართლებრივი კვალიფიკაციის, ასევე, ამ დანაშაულთა გამოძიების ვალდებულების მქონე პირთა/უწყებათა მხრიდან არასათანადო რეაგირების გამო მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების გარეშე, ვერ შეფასდება სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიან გამოძიებად. მით უმეტეს მაშინ, როდესაც, როგორც 2024-2025 წლების პრაქტიკა აჩვენებს, სახელმწიფო კვლავ აქტიურად და, გარკვეულწილად, კიდევ უფრო მასშტაბურად, სასტიკი ფორმებით იყენებს წამებას მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ და ქმნის დაუსჯელობის გარემოს საპოლიციო ძალადობისთვის.

2025 წლის 15 იანვარს გიორგი გახარია თავად გახდა ძალადობის მსხვერპლი. საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ბათუმში, სასტუმრო „შერატონში“, მას ჯგუფურად თავს დაესხნენ პარტია „ქართული ოცნების“ წევრები, მათ შორის, დიმიტრი სამხარაძე (პარლამენტის წევრი) და გიორგი მანველიძე (აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე) და ფიზიკური/სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.[162] შედეგად, გიორგი გახარიამ ცხვირის ძვლის მოტეხილობა და ტვინის შერყევა

[161] იხ. TSAAVA AND OTHERS v. GEORGIA [GC], 13186/20, 11 December 2025.

[162] საია მოუწოდებს საქართველოს პროკურატურას, ეფექტიანი საპროცესო ზედამხედველობის ფარგ-

მიიღო.[163] გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს,[164] თუმცა ამ დრომდე თავდამსხმელები პასუხისგებაში არ არიან მიცემული.

## 7. შეჯამება

**საიას შეფასებით,** გიორგი გახარიას მიმართ ჩორჩანას ეპიზოდზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა ვერ შეფასდება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების გადამეტების ვიწრო ჭრილში. საქმე უკავშირდება საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მოსახლეობის უსაფრთხოებასა და მცოცავი ოკუპაციის პირობებში სახელმწიფოს მიერ საკუთარი კონსტიტუციური ვალდებულებების შესრულებას. ამდენად, საქმის შეფასებისას აუცილებელია ბრალდების ფორმალური აღწერის მიღმა არსებული სრული ფაქტობრივი, ინსტიტუციური და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინება.

2019 წელს ჩორჩანისა და წაღვლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობდა უკანონო „ბორდერიზაციის“ კონკრეტული ნიშნები და უსაფრთხოების მკვეთრად გაუარესებული გარემო: ხეებზე მონიშვნები, უკანონო პატრულირებისთვის ბილიკების გაკაფვა, დე ფაქტო ძალების ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილება, ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილების შეზღუდვისა და დაკავების რისკები. ამ გარემოებებს ადასტურებდა როგორც სუს-ის 2019 წლის ანგარიში, ისე EUMM-ის მიერ დაფიქსირებული ფაქტები და საჯარო წყაროები. შესაბამისად, საგუშაგოს განთავსება, რომელიც EUMM-ის ინფორმაციით ადმინისტრაციული საზღვრის ხაზიდან დაახლოებით 240 მეტრში, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობდა, არ შეიძლება ავტომატურად შეფასდეს ოკუპანტი ძალის „პროვოცირებად“; პირიქით, არსებობდა საფუძვლიანი არგუმენტები, რომ იგი ემსახურებოდა მცოცავი ოკუპაციის შეკავებას, მოსახლეობის უსაფრთხოებასა და ტერიტორიის ფაქტობრივი კონტროლის შენარჩუნებას.

ბრალდების უმთავრესი თეზა, რომ გახარიამ გადაწყვეტილება მიიღო სუს-თან, EUMM-თან, პრემიერ-მინისტრთან და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსთან შეუთანხმებლად, საქმეში წარმოდგენილ სხვა მონაცემებთან წინააღმდეგობაშია ან, სულ მცირე, საჭიროებს სრულფასოვან შემოწმებას. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მასალებით, ჩორჩანაში არსებული ვითარება და ე.წ. ბორდერიზაციის რისკები 2019 წლის დასაწყისიდან განიხილებოდა IPRM-ის შეხვედრებზე; სუს-სა და EUMM-ს ჰქონდათ ინფორმაცია ადგილზე მიმდინარე პროცესებზე; საგუშაგოსა და მასთან დაკავშირებული გზის მოწყობის შესახებ ინფორმირებულობა არსებობდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასა და საერთაშორისო პარტნიორებთან. ამასთან, ეროვნული უსაფრთხოების

---

ლებში, დროულად განახორციელოს გიორგი გახარიას და ზვიად ქორიძის მიმართ დანაშაულის ჩამდენ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა, 15.01.2025, https://gyla.ge/post/saias-ganckhadeba-batumshi-tavdaskhmaze?fbclid=IwY2xjawSVCWZleHRuA2FlbQIxMABicmlkETFDWFlpOHIwdFEzYlhKa0Fjc3J0YwZhcHBfaWQQMjIyMDM5MTc4ODIwMDg5MgABHj5Jllvht4SE9bFd1PcRKAoNpQJk3wHhscea_0VPdljusJd0guJvSPNMlCa-_aem_zOplJRuI7rGcAEcLVBW7yw, : 10.06.2026.

[163] „ტაბულა“, „აქვს ცხვირის ძვლის მოტეხილობა და ტვინის შერყევა, კლინიკა დატოვა - ექიმი გახარიაზე“, 15.01.2025, https://tabula.ge/en/news/728446-akvs-tskhviris-dzvlis-motekhiloba-tvinis-sherqeva, განახლებულია: 10.06.2026.

[164] IPN, შსს-მ გიორგი გახარიაზე თავდასხმის საქმეზე გამოძიება ძალადობის მუხლით დაიწყო, https://www.interpressnews.ge/ka/article/827617-shss-m-giorgi-gaxariaze-tavdasxmis-sakmeze-gamozieba-zaladobis-muxlit-daicqo/, განახლებულია: 10.06.2026.

საბჭო იყო პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანო და არა გადაწყვეტილების მიმღები ორგანო; კანონმდებლობა კი ცალსახად არ ადგენდა შს მინისტრის ვალდებულებას, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პოლიციური საგუშაგოს მოწყობის საკითხი საბჭოს ფორმატში განეხილა.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი და პოლიტიკური/ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მკაფიო გამიჯვნა. თუნდაც სადავო გადაწყვეტილება ჩაითვალოს არასათანადოდ კოორდინირებულად ან პოლიტიკურად მცდარად, ეს თავისთავად არ არის საკმარისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის. ბრალდების მხარემ უნდა დაასაბუთოს უფლებამოსილების ფარგლების აშკარა გადამეტება, არსებითი ზიანის დადგომა, ბრალდებულის შესაბამისი განზრახვა და პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი მის ქმედებასა და მითითებულ შედეგს შორის. მხოლოდ პროცედურული ან ტექნიკური დარღვევის არსებობა ვერ გაამართლებს პოლიტიკური გადაწყვეტილების კრიმინალიზებას. განსაკუთრებით დაუდგენელი რჩება, რა საფუძვლით შეიძლება საოკუპაციო ძალის შემდგომი უკანონო მოქმედებები, მათ შორის ახალი საგუშაგოების აღმართვა და ოკუპაციის ხაზის გადაადგილება, მიზეზობრივად მიეწეროს საქართველოს მიერ მისივე კონტროლირებად ტერიტორიაზე პოლიციური ინფრასტრუქტურის განთავსებას, მაშინ როდესაც მასალები მიუთითებს, რომ დე ფაქტო რეჟიმს ტერიტორიული ექსპანსიის განზრახვა მანამდეც ჰქონდა.

საქმის მიმართ სერიოზულ კითხვებს აჩენს დევნის დროითი და შერჩევითი ხასიათიც. ბრალი წარდგენილია 2019 წლის მოვლენიდან ექვსი წლის შემდეგ, მაშინ, როდესაც გახარია ამავე მოვლენების შემდგომ ჯერ პრემიერ-მინისტრად დაინიშნა და შემდეგაც მაღალი პოლიტიკური თანამდებობები ეკავა. ამ პერიოდში არც შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, არც ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევრებსა და არც საგამოძიებო უწყებებს არ მოუხდენიათ ქმედების დაუყოვნებელი სამართლებრივი შეფასება.

ამასთან, ნიშანდობლივია, რომ პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში, თავად „ქართულ ოცნებასთანაც“ დაკავშირებითაც ჩნდება ეკისრება პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხია.

ექვსწლიანი პასიურობის შემდეგ დევნის დაწყება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გახარია მმართველ პოლიტიკურ ძალას გამოეყო და ოპოზიციური პარტიის ლიდერი გახდა, აჩენს ლეგიტიმურ კითხვას დევნის რეალურ მიზნებზე. ამ ეჭვს კიდევ უფრო ამძაფრებს ის, რომ საქმე დაიწყო საეჭვო რეპუტაციის მქონე ორგანიზაციის საჩივრის საფუძველზე და პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნის კვალდაკვალ, რომლის შექმნის დასაბუთება, შემადგენლობა და საქმიანობის მიზნები შეიძლება შეფასდეს, როგორც პრობლემური.

კერძოდ, დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა რამდენიმე არსებითი ხარვეზი: კომისიის შექმნის საჭიროება და საგამოძიებო ფარგლები სათანადოდ არ ყოფილა დასაბუთებული; განმარტებითი ბარათი არ აკონკრეტებდა გამოსაკვლევ საკითხებს, მოწმეებსა და დოკუმენტებს; კომისიაში არ იყო უზრუნველყოფილი რეალური საპარლამენტო ოპოზიციის მონაწილეობა; ხოლო მისი საქმიანობა მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიების აკრძალვისა და ოპოზიციური ლიდერების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის უფრო ფართო პროცესის ფონზე. ამ გარემოებებში კომისიის დასკვნის გამოყენება სისხლისსამართლებრივი დევნის ფაქტობრივ ან პოლიტიკურ საფუძვლად მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს, რადგან არსებობს რისკი, რომ საპარლამენტო კონტროლის მექანიზმი პოლიტიკური პლურალიზმის შეზღუდვის ინსტრუმენტად იქნეს გამოყენებული.

არანაკლებ პრობლემურია საქმის წარმოებისას დაცვის უფლებისა და მხარეთა თანასწორობის მდგომარეობა. დაცვის მხარეს სუს-მა, შსს-მ და მთავრობის ადმინისტრაციამ არ მიაწოდეს ან არ დაუდასტურეს საქმისთვის პოტენციურად მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა და ინფორმაციის არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველმა უწყებებს სწორედ ინფორმაციის ფლობის ფაქტის დადასტურებისკენ მოუწოდა. სასამართლომაც არ დააკმაყოფილა დაცვის შუამდგომლობა შესაბამისი მასალების გამოთხოვის შესახებ, რის შედეგადაც დაცვის მხარე ფაქტობრივად მოკლებული აღმოჩნდა შესაძლებლობას, მოეპოვებინა გამამართლებელი ან პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი მტკიცებულებები. პარალელურად, ბრალდების მხარემ არ გამოკითხა თავად გიორგი გახარია და არ დააკმაყოფილა დაცვის შუამდგომლობა გრიგოლ ლილუაშვილის გამოკითხვასთან დაკავშირებით. ეს გარემოებები აჩენს გამოძიების არასრულყოფილების, ცალმხრივობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის რისკს.

პრობლემურია აგრეთვე ბრალდების მხარის მიერ წინასასამართლო სხდომის ვადის გახანგრძლივების მოთხოვნა გაურკვეველი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. თუ ბრალდების მხარეს ექვსი წლის განმავლობაში არ მოუპოვებია ბრალის დასადასტურებლად აუცილებელი მტკიცებულებები და ბრალის წარდგენის შემდეგაც ვერ შეძლო მათი იდენტიფიცირება, ეს აჩენს კითხვას, რამდენად არსებობდა დევნის დაწყების მომენტში საკმარისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. ასეთი ვითარება ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მტკიცებულებების წინასწარ საკმარისი ბაზის გარეშე და შემდგომი საგამოძიებო მოქმედებები ბრალდების უკვე მიღებული პოლიტიკური თუ სამართლებრივი გადაწყვეტილების დასასაბუთებლად მიმდინარეობდა.

საქმის კონტექსტს ამძიმებს ისიც, რომ მას იყენებს ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმი საკუთარი პოლიტიკური პოზიციების გასამყარებლად: დე ფაქტო წარმომადგენლებმა გახარიას წინააღმდეგ დევნა ჩორჩანის/წნელისის საგუშაგოს მოხსნის მიმართულებით „პოზიტიურ ძვრად“ შეაფასეს. ასეთ პირობებში პროკურატურამ და სასამართლომ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შეაფასონ, ხომ არ აძლიერებს ბრალდების ნარატივი ოკუპანტი ძალისა და დე ფაქტო რეჟიმის იმ პოზიციას, რომლის მიხედვითაც საქართველოს მიერ საკუთარ ტერიტორიაზე უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება არალეგიტიმური ან პროვოკაციულია. ასეთი მიდგომა საფრთხის შემცველ პრეცედენტს შექმნის, რომ საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ საკუთარი სუვერენული უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება სისხლისსამართლებრივად დასჯადად იქცეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მიუღებელია ოკუპანტი სახელმწიფოსთვის ან მის მიერ მხარდაჭერილი რეჟიმისთვის.

დაბოლოს, საქმე უნდა შეფასდეს საქართველოში არსებული დემოკრატიული და მართლმსაჯულების კრიზისის უფრო ფართო კონტექსტშიც: ოპოზიციური პოლიტიკოსების მიმართ მიმდინარე დევნების, პოლიტიკური პარტიების აკრძალვის ინიციატივების, სამოქალაქო სივრცის შეზღუდვის, სასამართლოსა და პროკურატურის დამოუკიდებლობის შესახებ არსებული სერიოზული კითხვებისა და პოლიტიკური მართლმსაჯულების შესახებ საერთაშორისო შეფასებების ფონზე. ეს კონტექსტი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, წარმოადგენს მნიშვნელოვან არაპირდაპირ მტკიცებულებით გარემოებას, რომელიც უნდა შეფასდეს დევნის დაწყების დროის, მისი შერჩევითობის, ბრალდების დასაბუთების, საპროცესო დარღვევებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა საჯარო განცხადებების ერთობლიობაში.

შესაბამისად, სასამართლომ უნდა შეამოწმოს არა მხოლოდ ის, დაირღვა თუ არა რომელიმე პროცედურა საგუშაგოს განთავსებისას, არამედ, არსებობდა თუ არა მინისტრის უფლებამოსილების აშკარა და არსებითი გადამეტება; ჰქონდა თუ არა მას დანაშაულებრივი განზრახვა; დადგა თუ არა კონკრეტული, არსებითი და მის ქმედებასთან პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში მყოფი ზიანი; იყო თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა აუცილებელი და პროპორციული; და ხომ არ წარმოადგენს საქმე პოლიტიკური ოპონენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის მექანიზმების ინსტრუმენტალიზების ნაწილს. ამ კითხვებზე დამაჯერებელი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პასუხის გარეშე საქმე უნდა დარჩეს პოლიტიკური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სფეროში და მისი სისხლისსამართლებრივი შეფასება დაუშვებელია.